




ჩემი ეკლესის გვერდი: ..	3-4
კათოლიკი ეკლესია მსოფლიოში:	5-6
ჩვენი ეკლესია:	7-11
სოციალური გვერდი Caritas Georgia:	12
ჩანართი: ლე კორბუზიეს შედევრი - ტაძარი ნოტრ- დამ-დიუ-ო	I-IV
კათოლიკური კულტურია:	13
ერისთავ თანამედროვე მოწევები:	14-15
იუბილე:	16-17
კონფერენცია:	18-19
წიმის თარო:	20-21
საბაზო გვერდი:	22
ინფორმაცია:	23

დეკემბერი

- 8** დეკემბერი - მარიამის უმანკო ჩასახვის
დიდდობესასწაული, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის
დღეობა
- 10** დეკემბერი - მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება
(+1973)
- 17** დეკემბერი - შობის ნოვენის დასაწყისი
- 25** დეკემბერი - ქრისტეშობა
- 26** დეკემბერი - წმ. სტეფანეს დღესასწაული, ოზურგეთის
საკრებულოს დღეობა
- 27** დეკემბერი - წმ. იოანე მოციქულისა და მახარებლის
დღესასწაული
- 28** დეკემბერი - წმ. ბეთლემელ ჩვილთა დღესასწაული
- 30** დეკემბერი - ნაზარეთის წმიდა ოჯახის დღესასწაული,
გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა





სიტყვის ერთგულებისთვის...

რა სხვანაირი იქნებოდა სამყარო, ყოველი ადამიანი თავისი სიტყვის ერთგული რომ ყოფილიყო! რადგან სიტყვა სამყაროს ცენტრში დგას. არა ისეთი სიტყვა, რომელიც ზოგად ხასიათს იძენს, არამედ რომელიც კონკრეტულად აისახება მარადიულ ჭეშმარიტებაში. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე როდი ხდება. ამბობენ, სიტყვები სამყაროს გარდასახავენო, თუმცა არა ყოველთვის უკეთესობისაკენ. მით უმეტეს, თუკი სიტყვები ტყუილით, ანგარებითაა გაჯერებული, სიტყვები, რომელსაც ორმოს გასათხრელად და სინდისის ქენჯისგან გასათავისუფლებლად იყენებენ. „თავდაპირველად სიტყვას ჯადოსნური თვისება ჰქონდა და დღემდე შეინარჩუნა თავისი უძველესი მაგიური ძალა. სიტყვით ადამიანი შეგიძლია გააბედნიერო ან სასონარკვეთილებამდე მიიყვანო“, - საინტერესოა, თუ წაუკითხავს ფრონტის ეს ფრაზა ეკლესის ან მთავრობის რომელიმე წარმომადგენელს, ან თუ სმენიათ მაინც პაპ ფრანცისკეს საუბრები, რომელმაც

წონა დაუბრუნა გარკვეულ სიტყვებს, რისი აღქმაც უკვე გვიშირს. და დღეს რამდენი ახალი მიმართვა გაისმის იმ მიზნით, სწორედ სიტყვებისა და მათი საზრისის აღრევით რეალობას რომ მოგვწყვიტონ. რამდენი ფაქტი შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ როგორ მოგვატყუეს ან... როგორ შეგვიცვლია მიცემული სიტყვა (ესეც უნდა ვაღიაროთ) საზოგადოებრივი და სარწმუნოებრივი ცხოვრების გინდუბრალო, გინდაც მნიშვნელოვან მომენტებში. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ფატი-

მამა ბაბრიელი ბრამბანთინი CSS

სფილბათელი, ეპისკოპოსის ვიკარი ეკუთხენიზმისა და კულტურის დარმში, ნინამძღვარი (ეპთაისი, ბათუმი), მზურითი



რედაქტორის გვარი

მის ღვთისმშობლის ქანდაკების საქართველოში ჩამობრძანების სამზადისთან დაკავშირებით, არაერთ ადამიანსა და ორგანიზაციას შევხვდი; უმრავლესობამ გულთბილად განაცხადა თანხმობა თანამშრომლობაზე; მშვენიერი იყო! დახმარებას გვპირდებოდნენ მუნიციპალიტეტები, მერები, საგზაო პოლიცია, მუსიკალური გუნდები, პოეტები, მხატვრები, პოლიტიკოსები, ტელევიზიები, თვით რელიგიათა წარმომადგენლები... მაგრამ შემდეგ, როცა საქმე საქმეზე მიდგა და ეს ლამაზი დაპირებები კონკრეტულ საქმედ უნდა ექციათ, მიცემული სიტყვა მხოლოდ ცოტამ თუ შეასრულა, რის გამოც გულწრფელ მადლობასა და პატივისცემას გამოვხატავთ მათ მიმართ. მაგრამ ნეტავი როგორ მოიქცეოდნენ ისინი, რომლებმაც სიტყვა გატეხეს, თუ ეს მართლმადიდებელი ეკლესიის თხოვნა იქნებოდა? საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბათუმში ღვთისმშობლის ქანდაკების მოლოდინში მყოფი ჩვენი მორწმუნები პორტის მოსაცდელი დარბაზიდან გარეთ გაუშვეს, მიუხედავად უკვე არსებული შეთანხმებისა; ხომ წარმოუდგენლია? და როგორ მოიქცნენ ქუთაისში? კათოლიკე მრევლის წინამძღვრის მიერ მიცემული სიტყვა, რომ არავინ შევიდოდა ეკლესიის ეზოში ღვთისმშობლის ქანდაკებით მსვლელობისას, ქალაქის მართლმადიდებელ ეპისკოპოსს სარწმუნოდ არ ეჩვენა და საჭიროდ მიიჩნია ბარიკადების აღმართვა. ეკლესიის (ოდესალაც კათოლიკურის) ეზოს შესასვლელი მანქანებით ჩახერგა და შემოავლო ლენტები, საფრთხის ან უბედური შემთხვევის დროს რომ იყენებენ; ესეც არ იქმარა, იქვე მღვდლები და ახალგაზრდები შეყარა, ცხადია, არა ქანდაკებისადმი პატივის მიგების მიზნით.

იქნებ ბოლო წლებში ქუთაისის კათოლიკებმა სიტყვა გატეხეს? თუ მათ ერთ ბრალდებას მაინც წაუყენებენ, ეს იქნება ის, რომ ისინი უკიდურესად ითმენდნენ და დღესაც ითმენენ. აი, ასეთი ფაქტი და კიდევ ბევრი ამგვარი მოხდა ჩვენს ქვეყანაში, ქვეყანაში, რომელიც ამაყობს თავისი ტოლერანტობით, ღვთისმშობლის წილხვდომილობით... საქმით გაქარწყლებული ლამაზი სიტყვები. ზოგიერთი შეიძლება შემომედავოს, ასე რამ გაგაბრაზა; რა არის ეს ყველაფერი სხვა, გაცილებით მძიმე და ცრუ ფაქტებთან შედარებითო? განაჩვენი ცხოვრება აგებული არაა გატეხილ სი-

ტყვაზე, დაწყებული საარჩევნო დაპირებებით და დამთავრებული ზოგიერთ საავადმყოფოში ანალიზის შედეგებით? თითქოს ახალი ხატმებრძოლებაა, მაგრამ სიტყვის!

ქუთაისის მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, თითქოს ეკლესიათა ერთიანობის დიდი მხარდამჭერი, როგორ უნდა აცხადებდეს, რომ სურს მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესიების ერთიანობა, როდესაც ხელიდან უშვებს ისეთ მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რასაც შეეძლო მისი სიტყვები ღირსეულად და სარწმუნოდ წარმოეჩინა და არა ქვენა ზრახვების დასაფარავად წამოწყებულ თამაშად? ის მინიმუმი, რისი გაკეთებაც ახლა შეიძლება, ბოდიშის მოხდა იქნებოდა, რითაც მაგალითს მისცემდა მათ, ვინც მიცემული სიტყვა გატეხა. ვაი რომ ძნელია საკუთარი შეცდომების აღიარება; ხშირად, როცა ვუსმენთ იმ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთს ადანაშაულებენ მომხდარში, ცალ-ცალკე კი ორივე თავისებურად მართალია, ვერ გაგვიგია, ვის მხარეზეა სიმართლე; არადა, ერთი მხარე უთუოდ მტყუანი იქნება... მაგრამ დიალექტიკა, თავდაცვის სისტემები, სიამაყე იმდენად ძლიერია, რომ სიმართლის ძიებისა და საკუთარი შეცდომების აღიარების შესაძლებლობას არ გვიტოვებს; და შავი ხდება თეთრი, ხოლო თეთრი - შავი... სწორედ ამგვარი მაგიური ძალით, ოდითგანვე კათოლიკური ეკლესია მოულოდნელად ხდება მართლმადიდებლური... ბოლოს და ბოლოს, ადამიანი თავისი თავისუფლებით, თავისი შესაძლებლობებით ამ თამაშებს კარგად თამაშობს, მაგრამ თუ ის ეკლესიის წარმომადგენლია, მით უფრო... სამწუხაროა, თუმცა ასე ჩანს!

დაე, ჩვენთვის, მთელი გულით რომ მივიღეთ ფატიმის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ქანდაკება, ამ ყველაფერს უქმად არ ჩაევლოს, პირიქით, უფრო მეტი მგზნებარებით წარმოვთქვათ „დიახ“, როდესაც კათოლიკე ეკლესიის წწმენას ვეზიარებით ნათლობის, მიროცხების, ჯვრისწერის წუთებში, კვირადღის წირვისას, და ისევე ვიყოთ მისი ერთგული, როგორც ჩვენი სიტყვისა - „არა“, როდესაც უარვყოთ ყოველივეს, რაც ეწინააღმდეგება უმნიშვნელო, წარმავალ, ამქვეყნიურ ცხოვრებას. დაე, ეს იყოს გზა, რათა წაღმა დავატრიალოთ სიცრუის ტალახში ჩაფლული სამყაროს ბორბლები!



ჰათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსუდან ავალიშვილი

პონტიფესის 39-ე სამოციქულო მოგზაურობა

3-6 ნოემბერს გაიმართა უწმიდესი ფრანცისკეს სამოციქულო ვიზიტი ბაჰრეინის სამეფოში. აეროპოტრიდან პონტიფექსი გაემართა სამეფო სასახლეში, სადაც ქვეყნის მეფეს, ჰამად იბნ ისა ალ ხალიფას, ტახტის მემკვიდრეს და პრემიერ მინისტრს შეხვდა. 4 ნოემბერს უწმიდესმა პაპმა სიტყვა წარმოთქვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობებისადმი მიძღვნილ „დიალოგის ფორუმზე“: „პარადოქსი: იმ დროს, როცა ჩვენი პლანეტის მკვიდრთა უმრავლესობა ეკოლოგიურ, სასურსათო და პანდემით გამოწვეულ კრიზისს ებრძვის, ამა სოფლის ძლიერნი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იღვნიან და გავლენის სფეროებს ინაწილებენ. მთელ კაცობრიობაზე ზრუნვის ნაცვლად, ისინი ცეცხლს ეთამაშებიან, იარაღს აუდარუნებენ, მშვიდობიან მოსახლეობას ყუმბარებს უშენენ და ჩვენს საერთო სახლს ფერფლით და სიძულვილით ფარავენ. ასეთია დესპოტური, იმპერიალისტური, ნაციონალისტური და პოპულისტური მოდელების მოქმედების შედეგები. რელიგიური ლიდერების ვალია, დაანახონ ერთმანეთზე დამოკიდებულ, მაგრამ გამიჯნულ ადამიანებს ერთობის საჭიროება და ის ორიენტირები და საშუალებები, რაც მათ საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება“. ფორუმიდან უწმიდესი პაპი გაემართა ალ-საჰირის სამეფო სასახლის მეჩეთში, სადაც მუსლიმ უხუცესთა საბჭოს წევრებს შეხვდა. „ძვირფასო მეგობრებო! აბრაამში ჩვენ ხომ ძმები ვართ და ერთი ღმერთი გვნამს. ყველა უბედურების სათავე ღვთისგან და მოყვასისგან გამიჯნულობაა. მაშასადამე, ჩვენი უპირველესი ამოცანა სიცოცხლის ამ დაკარგულ წყაროთა პოვნაა. მაშინ კვლავ დავეწავ დამარცხებით უძველეს სიბრძნეს, მივუახლოვდებით და თაყვანს ვცემთ ზეცათა უფალს, კვლავ დავუახლოვდებით ადამიანს, რომლისთვისაც ღმერთმა დედამინა შექმნა. ამისთვის ორი საშუალება გვაქვს: ლოცვა და ძმობა. სწორედ ესაა ჩვენი ქმედითი იარაღი. მაშ, ნუ ვივლით იმ გზებით, რომლებიც ღვთის სახელს შეურაცხყოფს, ნუ დავემსგავსებით მათ, ვინც მშვიდობას ხელყოფს, ნუ დავემსგავსებით ძალადობისა და ომის მთესველებს“, - განაცხადა პონტიფექსმა. საღამოს უწმიდესმა ფრანცისკემ და მსოფლიოს პატრიარქმა ბართლომემ ავალის უწმიდესი ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში ერთობლივი ლოცვა აღავლინეს.

5 ნოემბერს წმიდა გულის მისიის სკოლაში პაპთან შესახვედრად ბაჰრეინის სხვადასხვა აღმსარებლობის ახალგაზრდები შეიკრიბნენ. „თქვენ



ძალიან სჭირდებით ეკლესიას, ყოველი თქვენგანი. თქვენთან ერთად ეკლესია მუდამ ახალგაზრდა იქნება, ახალ სფეროებს გამოიკვლევს, ურთიერთობის ახალ ენებს შეისწავლის, უფრო ხალისიანი და სტუმართმოყვარე იქნება“. იმავე დღეს პონტიფექსმა ბაჰრეინის ეროვნულ სტადიონზე აღავლინა წმიდა წირვა, რომელშიც ოცდაათი ათასი ადამიანი მონანილეობდა. თავის ქადაგებაში პაპმა აღნიშნა, რომ მაცხოვრის ძალა სიყვარულშია და იგი ამ ძალას ჩვენ გვიზიარებს; ამიტომ ისე უნდა გვიყვარდეს, როგორც იესოს უყვარდა - უპირობოდ და განურჩევლად. „თუმცა სიყვარული არის არა უნარი, რომელსაც გამოვიმუშავებთ, არამედ ნიჭი, რომელიც უნდა ვითხოვოთ. ეს დიადი ნიჭი ლოცვით, ღვთის სიტყვით და ევქარისტიით მოგვეცემა“, - აღნიშნა უწმიდესმა პაპმა. ვიზიტის ბოლო დღეს, 6 ნოემბერს, უწმიდესი ფრანცისკე ქვეყნის კათოლიკე სამღვდელოებას და ბერ-მონაზვნებს შეხვდა. „ეკლესია ქრისტეს განგმირული გვერდიდან იშვა. ქრისტიანობა ჩვენი დამსახურებისამებრ კი არ მოგვეცა, არამედ სულინმიდის მიერ, მადლით, რომლითაც ღვთის შვილები და ერთმანეთის დაძმები გავხდით“, - მიმართა პაპმა შეკრებილებს.

ყირმიზეთის დედაქალაქის ცენტრში პათოლიკური ტაძარი ეშვენდება

ტაძრის მშენებლობა ზამთარში დაიწყება და დაახლოებით ორ წელინადში დასრულდება. მომავალი საკათედრო ტაძრისთვის ბიშკეკის ცენტრში უკვე გამოყოფილია მიწის ნაკვეთი, პროექტი დასრულებულია, საშენი მასალა კი შეძენილი. „ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ კათოლიკებისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა მკვიდრისთვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყირგიზეთში დაცულია აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპები“, - აღნიშნა პრეზიდენტის მოჩეველმა ვალერი დილმა. „1981 წელს ყირგიზე-



კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რასუდაზე ავალიზაციი

თის სამრევლოში ხუთასი ადამიანი იყო. დღეს ორი ათასზე მეტი ვართ. ყირგიზეთის კათოლიკე მრევლი, ერთი შეხედვით, არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა მაინც ბევრს ვახერხებთ: დახმარებას ვუწევთ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს, ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებს, ბიშკეკში, ტალასასა და ჯალალ-აბადში უფროსკლასელებისთვის დავაარსეთ სხვადასხვა სასწავლო კურსები“, - აღნიშნა ყირგიზეთის კათოლიკეთა სამიციქულო აღმინისტრატორმა, მამა ენტონი კორკორანმა.



უნიდესამა ფრანცისკეო თურქ ხალხს მიუსამძიმრა

„მისი უწმიდესობა ღრმად დაამწუხრა ცნობამ სტამბულში მომხდარი ტრაგედიის შესახებ. პაპი ფრანცისკე უსამძიმრებს დალუბულთა ოჯახებს და მეგობრებს, თავის გულითად სიახლოვეს უცხადებს დაშავებულებს და იმ ადამიანებს, ვინც ახლა დალუბულებს გლოვობს. პაპი ლოცულობს იმისთვის, რომ არავითარმა ტერაქტმა ხელი არ შეუშალოს თურქ ხალხს ძმობის, სამართლიანობისა და მშვიდობის პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარებაში“, - ნათქვამია საგანგებო დეპეშაში, რომელიც თურქ ხალხს პაპის სახელით წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა, პიეტრო პაროლინიმ გაუგზავნა. შეგახსენებთ, რომ 13 ნოემბერს, სტამბულში განხორციელებული ტერაქტის შედეგად დაიღუპა ექვსი და დაშავდა ოთხმოცზე მეტი ადამიანი. გამოძიების ვერსიით, ტერაქტი განხორციელებულია თურქეთში აკრძალული ქურთისტანის მუშათა პარტიის მომხრეთა მიერ. დაკავებულია ორმოცდაათი ეჭვმიტანილი.

ნიმუში: მასობრივი ულეტა კათოლიკურ დაბაში

19 ოქტომბერს შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ბენუას შტატში განლაგებულ დაბა ბეჰჟის, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას კათოლიკები შეადგენენ. გარდაცვლილთა რიცხვი დღემდე გაურკვეველია. დღეისთვის ნაპოვნია 71 გვამი. მოკლულთ შორის არიან ქალები და ბავშვები. „ორასამდე „ფულანის“ დაჯაუფების ტერორისტი სოფელში დილის ექვს საათზე შემოვიდა. სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. ადამიანებს, რომლებიც აღმოდებული სახლებიდან გამორბოდნენ, ცეცხლსასროლი იარაღით ან დანით კლავდნენ“, - განაცხადა ადგილობრივმა მღვდელმა, მამა სამუელ ფილამ.

8 დეკემბერი: მსოფლიოს ეპლთა ერთობლივი საპარდი

„ყველა მსურველს შეუძლია შეუერთდეს ამ უმშვენიერეს ლოცვას ეკლესის ერთობისთვის, სიცოცხლის, დედობისა და ოჯახის დაცვისთვის და, სხვა ქალებთან ერთად, ამაყად თქვას: „ჩვენ უწმიდესი ქალწული მარიამის შვილები ვართ და მის მაგალითს მივდევთ“, - აღნიშნეს ინიციატივის ორგანიზაციორებმა ინსტაგრამის გვერდზე: https://www.instagram.com/rosario_mundial_de_mujeres



დაუვიწყარი დღეები

„ადამის ძეთა უმშვენესი ხარ, მადლი ილვრება შენთა ბაგეთაგან“ (ფსალმ. 44, 3)

საკათედრო ტაძრის მრევლმა, პროგრამით პირველმა და სინამდვილეში კი უკანასკნელმა, ერთი თვის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, უმასპინძლა ფატიმის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ქანდაკებას. დაუვიწყარი ორი დღე დავყავით ღვთისმშობელთან სულიერ და ფიზიკურ სიახლოვეში თითოეულმა ჩვენგანმა.

პარასკევს, 4 ნოემბერს, დილის რვა საათიდან არ წყდებოდა მორწმუნეთა ნაკადი საკათედრო ტაძარში. ყველას ერთი სურვილი ამოძრავებდა: ეხილა და პატივი მიეგო ძვირფასი სტუმრისათვის. ღვთისმშობელი კი გვიმზერდა სიყვარულით სავსე, ლამაზი თვალებით... დღის განმავლობაში შესრულდა სავარდის ოთხივე საიდუმლო და გულმოწყალების გვირგვინი. მორწმუნენი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ღვთისმშობლის ლიტანის ლოცვისას, ტაძრიდან გასვლის შემდეგ კი ტოვებდნენ ჩანაწერებს შთაბეჭდილებათა ალბომში და თან მიჰქონდათ ღვთისმშობლის სახელზე ჩამოტანილი კრიალოსანი, უხვად რომ იყო მოთავსებული კალათაში.

შაბათს კი, 5 ნოემბერს, აღევლინა საზეიმო, გამოსამშვიდობებელი წმიდა წირვა, ვატიკანის ელჩის, მონსინიორ უოზე აველინო ბეტენკურის, მისი მდივნის, მონსინიორ ჯუზეპე ლატერცას; ფატიმის სანკტუარიუმის რექტორის, მონსინიორ კარლუშ კაბეკინასისა და აზერბაიჯანის კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსის, მეუფე ვლადიმირ ფეხეტეს მონაწილეობით. წმიდა წირვას უძღვებოდა მეუფე ჯუზეპე პაზოტო, საქართველოში მოღვაწე ყველა კათოლიკე მღვდელთან ერთად. ტაძრი ვერ იტევდა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ კათოლიკე მრევლს და მოწვეულ სტუმრებს. იოანეს სახარება თითქოს გადმოიღვარა ტაძრის ერთერთი ვიტრაჟიდან... ქორწილი კანაში... მარიამი წუხს, რადგან სუფრას ღვინო მოაკლდა... იესოს მისია წყლის ღვინოდ გარდაქმნა კი არაა, არამედ ადამიანთა ცხოვრების შეცვლა, სიცოცხლის მინიჭება, რომელიც სავსეა სიხარულით, და რომლის სევდით აღვსებაც არავის და არაფერს ძალუძს. ... 1917 წლის მაისში, მარიამის პირველი გამოცხადებისას ფატიმაში, მსოფლიო ომში იყო ჩართული, და ახლაც, 21-ე საუკუნეში კაცობრიობა ომის ზღურბლზეა და მარიამის შეგონება - ლოცვა მშვიდობაზე ისევ აქტუალურია. მართლაც, მარიამი დროის მიღმაა, ის ახლაც ავედრებს უფალს ჩვენს თავს, ჩვენს ცხოვრებას, - აღნიშნა მონსინიორ კარლუშმა თავის ქადაგებაში.



ქადაგების შემდგომ აღევლინა ლოცვები ყველა საკრებულოს წარმომადგენელთა მიერ. ძღვენთა მირთმევაში კი მონაწილეობა მიიღო ქართული იტალიურმა ოჯახმა ქალაქ ვერონიდან. ღრმა პატივისცემისა და მადლიერების ნიშნად, მონსინიორ კარლუშს სრულიად საქართველოს მრევლისგან საჩუქრად გადაეცა მინანქარში შესრულებული ფატიმის ღვთისმშობლის ულამაზესი ხატი. მარიამის ფერხთით ერთ მხარეს გამოსახულია სვეტიცხოველი, მეორე მხარეს კი - მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო კათოლიკური ტაძარი.

წმიდა წირვას ალამაზებდა გაერთიანებული



ჩვენი ეკლესია თინათინ პოპორაშვილი



გუნდის მიერ შესრულებული საგალობლები. წირვის დაწყებამდე კი, ღვთისმშობლისადმი ჰატივის მისაგებად, დედა ტერეზას გულმოწყალების დების ორგანიზებით, ბავშვებმა წარმოადგინეს სპექტაკლი, სახელწოდებით „გამოცხადება ფატიმაში“. შემდეგ, საკათედრო ტაძრის კატექისტების ხელმძღვანელობით, საკატექიზაციო ჯგუფის ბავშვებმა ილოცეს სავარდის ერთი ნაწილი - სიხარულის საიდუმლოებები და შესავალი თეატრალიზებულად გააფორმეს.

წმიდა წირვის დასრულებისას კი დადგა მეტად

საპასუხისმგებლო, გაცილების მომენტი. ეკლესიიდან დაწყებულ პროცესიას წინ მიუძღვდნენ ბავშვები, ეპისკოპოსები და სამღვდელო დასი; ბერ-მონაზვნები და დიაკონები მიაპრძანებდნენ ფატიმის ღვთისმშობლის ქანდაკებას, რომელსაც მიჰყვებოდა სრულიად მრევლი. ავტოინსპექციამ სახელდახელოდ შეაჩერა ტრანსპორტის მოძრაობა და პროცესია, გია აბესაძის ქუჩიდან კოტე აფხაზის ქუჩის გავლით, ადვილად გაემართა თავისუფლების მოედანზე, საკრებულოსთან მდგარი მანქანისაკენ, რომელშიც შეაპრძანეს მომლოცველი ქანდაკება. მრევლი დიდხანს ემშვიდობებოდა ღვთისმშობელს. ბოლოს და ბოლოს მანქანა დაიძრა ნუნციატური-საკენ და თვალს მიეფარა. მარიამის გაცილების ამ ეპიზოდს იღებდა დრონი. მრევლი კი დაპრუნდა ტაძარში, რომლის ეზოშიც სამრევლო საბჭოს წევრების მიერ მომზადებული იყო ხემსი მათთვის, ვინც შორი გზიდან იყო ჩამოსული დედაქალაქში წმიდა წირვაში მონაწილეობის მისაღებად.

ლამაზი იყო ეკლესიის დედასთან გამომშვიდობების ბოლო დღე. წმიდა წირვის ყველა მონაწილეს გაჰყვა ღვთისმშობლის თვალთაგან გადმოღვრილი სითბო და სიყვარული... „გავიხსენებ შენს სახელს თაობიდან თაობაში, ამიტომ ხალხები ხოტბას შეგასხამენ უკუნითი უკუნისამდე“ (ფსალმ. 44, 18), - გალობს მეფსალმუნც.



მადლიერების ცრემლი

ბოლო ათწლეულებია, ვაგრძელებ ცხოვრებას სულიერ ტკივილთან ერთად უხმოდ, ცრემლების გარეშე; აღარც კი მეგონა, თუ ოდესმე ჩემი გრძნობა-ემოციების გამოსახატავად ცრემლი კვლავ შემახსენებდა თავს... და მოხდა „სასწაული“ ორიოდე თვის წინ, როცა ცნობილი გახდა საქართველოს კათოლიკე ეკლესიაში შორეული პორტუგალიდან ფატიმის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ქანდაკების ჩამობრძანება და დაზუსტდა მისი მომლოცველობის მარშრუტი.

მართალია, ძალიან დამწყდა გული, რომ ჩვენი სასულიერო პირებისა და მრევლის გვერდით ახლა ფიზიკურად ვერ მივიღებდი მონაწილეობას ამ მადლიან „მოგზაურობაში“, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ ამიერიდან, ალბათ, რაღაცით შეცვლებოდა ჩემი ტრადიციული სულიერი ცხოვრება. ამ შიზნით, პირველ ყოვლისა, ჩემს ყოველდღიურ ლოცვებში დავამატე ფატიმის ღვთისმშობელთან - სავარდის დედუფალთან დაკავშირებული სხვა ახალი საკითხები, თანაც ვიმედოვნებდი, რომ ნოემბრის დასაწყისში აუცილებლად „ვახილავდი“ ძვირფას სტუმარს.

... როცა ფატიმის წმ. მარიამისადმი მიძღვნილ ურნალ „საბას“ საგანგებო ნომერს ვკითხულობდი და უფრო დაწვრილებით ვეცნობოდი პორტუგალიის ერთი პატარა სოფლის მწყემსი ბავშვების სასწაულებრივ თავგადასავლებს, ანგელოსებისა და ღვთისმშობლის გამოცხადებებს, ჩემდა უნებურად, რაღაც ძალას სხვა სამყაროში გადავყავდი, შინაგან გრძნობა-ემოციებს გარეგნულად თან ახლდა ამ ბოლო წლებში ჩემთვის უჩვეულო ცრემლები. ეს ზემთაგონება თანდათან მიძლიერდებოდა ცრემლებთან ერთად მომდევნო დღეებში: „საბას“ მე-11 ნომერში (დღიურების სახით) საოცარი მადლიერებით, გულწრფელი უშუალობით მოთხრობილი იყო „ჩვენი მფარველი ღვთისმშობლის“, „ლამაზი ქალბატონის“, „ყველას დიდი დედის“... მომლოცველობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კათოლიკურ ეკლესიებში. ყველა მასალა ცრემლიანი თვალებით ერთიანად რომ ჩავიკითხე, მივწვდი: უცნაურად მოჭარბებული ეს ცრემლი იყო იმუამინდელი ჩემი სულიერი მდგომარეობის სალბუნი და უსაზღვრო მადლიერებასთან შეზავებული - ღვთისმშობლის საჩუქარი. ალბათ, სიხარულის განცდაც ერია ნაწილობრივ მასში, რადგან ამ დღეებში შინაგანად თითქოს „სხვა“ ადამიანად ვიქეცი.

ფატიმის წმ. ღვთისმშობელმა საქართველოს მასშტაბით თავისი მომლოცველობა დასარულა ჩვენს საკათედრო ტაძარში. მრევლი სხვადასხვა ფორმით გამოხატავდა მოქრძალებას, პატივისცემასა და სიყვარულს სავარდის წმინდა დედუფლისადმი და სასოებით, იმედითა და მომავლის რწმენით შეჰყურებდა მას.

ტაძრის შუაგულში სპეციალურად ამაღლებულ ადგილზე, ყვავილების უზარმაზარ თაიგულში იდგა ფატიმის ღვთისმშობლის ქანდაკება. ულამაზესი დედა, თეთრი, ქათქათა სამოსით, კრიალოსნითა და თბილი



გამოხედვით იდგა და მშვიდად ისმენდა მრევლის გულმხურვალე ვედრებას, უამრავ თხოვნას როგორც ქვეყნისა და ოჯახის გადასარჩენად, ისე ჩვენი სასულიერო პირების ჯავმრთელობისა და დღეგრძელობისთვის. თითოეული ჩვენგანი ვგრძნობდით, რომ ამ ქანდაკების სახით ღვთისმშობელი ჩვენც გამოგვეცხადა ფატიმელი ბავშვების მსგავსად, გვანუგება და შთაგვაგონა, როგორ უნდა ვიცხოვოთ ადამიანებმა ღმერთის ნების აღსასრულებლად.

5 ნოემბერს, საზეიმო გამოსამშვიდობებელი წმინდა წირვის შემდეგ, უამრავი თაყვანისმცემლით გარშემორტყმული ფატიმის წმ. ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ქანდაკება ლოცვებითა და გალობით მიაბრძანეს თავისუფლების მოედანზე. აქ მთავრდებოდა წმინდა დედის მომლოცველობა. სწორედ ამ ადგილიდან გააცილა მადლიერება მრევლმა გალობით, ტაშით და უამრავი თხოვნით ღვთისმშობელი - ქართველთა იმედი, მფარველი და ნუგები... ეს მომენტი იყო ძალიან ლამაზი, ამაღლვებელი და უზომზ სითბო-სიყვარულის გამოხატველი. და მეც ამ წუთებში მადლიერების ცრემლებითა და საოცარი განცდა-ემოციით უსიტყვოდ შინაგანი გულისთქმით ერთხელ კიდევ შევევედრე ფატიმის წმ. ღვთისმშობელს: „წმინდა სავარდის დედუფალო, შენი წყალობის კალთა გადააფარე მთელს ქვეყნიერებას, მოავლინე მშვიდობა და ერთობა... ილოცე ჩვენთვის!“

ყოვლად უწმინდესო დედავ, მადლობა სტუმრობისათვის, მადლობა სულიერი სიმშვიდისა და ღვთიური მადლის მონიფებისათვის, მადლობა განსხვავებული ცრემლისათვის!



წმიდანთა პალდეპალ...



მე და მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ დავტოვეთ კავკასიის სიმშვიდე და სიგრილე და გავემგზავრეთ მცხუნვარე და ხმაურიან ინდოეთში. ჩვენი ეკლესიის სახელით, თბილისიდან ჯერ მუმბაიში ჩავედით, რათა გავყოლოდით თანას წამებულთა ნაკვალევს, ანუ გვევლო იმ ფრანცისკელი ბერების კვალდაკვალ, რომლებიც 700 წლის წინათ შორეულ მიწაზე ქრისტეს სახელით ეწამნენ. გვინდოდა უფრო ახლოს გაგვეცნო ის ადგილები, სადაც მათ მოუნიათ ცხოვრება და მარტვილობა; ასევე გვსურდა გაგვეგო, თუ როგორ გამოხატვდა ადგილობრივი ხალხი მათ მიმართ თაყვანისცემასა და მოწინებას.

მუმბაიში ჩასვლისთანავე, გვიმასპინძლა მამა ბასილ ლობომ, ფრანცისკელმა ბერმა, მუმბაის სიონის, კეთილი რჩევის ღვთისმმობლის სამრევლოს წინამდღვარმა. იგი წლების მანძილზე ურთიერთობდა მამა გაბრიელესთან, თანას წამებულთადმი ორმხრივი ინტერესის გამო. იდგა 24 ოქტომბერი, ამ დღეს ინდუსები აღნიშნავენ დივალის (Divali), სინათლის დღესასწაულს, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინდურ დღესასწაულს; ის სიმბოლურად გამოხატავს სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე: დღესასწაულის დროს, ტრადიციულად, ანთებენ სანთლებს ან ნათურებს და იმართება ფეირვერკი. ამ ზეიმთან დაკავშირებული ყველაზე პოპულარული ლეგენდა ეხება ქალაქ აიონ-

პიას (Ayodhya) მეფის, რამას დაბრუნებას ტყეში 14 წლიანი გაძევების შემდეგ. ქალაქის მაცხოვრებლებმა, მეფის დაბრუნებისას, მის პატივსაცემად დაანთეს ლამპრების (დიპა) წყება (ავალი). აქედან მოდის სახელი დიპაგალი ან უბრალოდ დივალი. ინდუსებისა და ჯაინისტებისთვის ეს არის ცხოვრების დღესასწაული, შესაძლებლობა ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის გაღრმავებისა, ქრისტიანთათვის კი შესაძლებლობა, ხელახლა დაამოწმონ და განადიდონ ქრისტე, სამყაროს ჭეშმარიტი ნათელი; ჩვენ ეს დღესასწაული აღნიშნეთ ადგილობრივ მრევლთან ერთად, ხალხით სავსე ეკლესიაში, რომელიც განათებული იყო ტრადიციული სანათებით; ზოგიერთი მორჩმუნე ტრადიციულ სამოსში იყო გამოწყობილი; ეს ინკულტურაციის მშვენიერი მაგალითია; ამან გავახსენა დიდი ინკულტურაცია უფლის შობისა, რომელმაც შეცვალა მზის ღმერთის დღესასწაულები რომის იმპერიის კულტურაში III ს-ში.

დრო რომ არ დაგვეკარგა, ჩამოსვლიდან მეორე დღესვე გავემგზავრეთ მუმბაის გარეუბანში, თანაში, სადაც მდებარეობს წმ. იოანე ნათლისმცემლის სამრევლო და, გადმოცემის მიხედვით, მათი წამების ადგილი, თუმცა ზუსტი ადგილი არ შემონახულა... პორტუგალიელთა მიერ მე-16 საუკუნეში აშენებული და ამჟამად აღდგენილი ეკლესიის მონაზულებისას, შევძლით გვეხილა მათი მარტვილობის ამსახველი ყველაზე ცნობილი ნახატი, შემონახული, როგორც რელიკვი, ერთ-ერთ გვერდითა კედელზე. ამ ნახატმა შთაგვაგონა, შეგვექმნა ჩვენი ძმის, დემეტრეს ხატი, მისი მარტვილობის 700 წლისთავთან დაკავშირებით. დამშვიდობებისას, ერთ-ერთმა დიაკანმა, იმ თვრამეტ დიაკვანთაგან, რომლებიც სულ მალე მღვდლად იქნებიან ხელდასხმული მთავარეპისკოპოსის მიერ, თავაზიანად გადმოგვცა ინგლისურენოვანი წიგნი, რომელიც ეკლესიის 435 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა, მის გვერდებზე იმთავითვე შეგიძლიათ წაიკითხოთ ფრანცისკელი ბერების წამების ამბავი. ესენი არიან: თომა ტოლენტინოელი, იოანე პადუელი, პეტრე სიენელი და დემეტრე თბილელი, ქართველი ფრანცისკელი ძმა, მთარგმნელი; ტექსტში ნათქვამია, რომ „ეკლესია პატივს მიაგებს მათ, როგორც თანას მონამებს“ (გვ. 19).

სამრევლო ეკლესიის ეზოდან კარგად მოჩანს მშვენიერი ლაგუნა, რომლის ნაპირზეც, გადმოცემის მიხედვით, 1321 წელს ეწამნენ ფრანცისკელი ბერები. ეს ეპიზოდი შემოგვრჩა ფრანგი დომინიკელი ბერის, უორდან და სევერაკის წყალობით, რომელიც მოგვიანებით ეპისკოპოსი გახდა. ეს არის მცირე, მაგრამ ძალიან ხარისხიანი და საიმედო წყარო.

ცოცხლობს თუ არა დღემდე ამ წამებულთა ხსოვნა ხალხში? ესეც ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ინდოეთში ჩვენი გამგზავრებისა; ბევრი საუბრობდა დღესას-



წაულზე, რომ ყოველწლიურად, 9 აპრილს, დიდხალი ხალხი იკრიბება ეკლესიაში თანას წამებულთა მოსახ-სენიობელი წმიდა წირვის აღსასრულებლად და მორწ-მუნეთა მიერ იმ რელიგივებისადმი პატივის მისაგებად, რომლებიც ამ დღეს გამოაქვთ; უფრო ზუსტად, ეს არის ნეტარი თომა ტოლენტინოვის ერთადერთი რელიგია, რადგან სხვა ფრანცისკელთა რელიგიები დაკარგულია.

გულთბილად მიგვიღეს კეთილი რჩევის ღვთისმშობ-ლის ეკლესიაში, რომელსაც უძღვებიან ფრანცისკელე-ბი; თანას მონამეთა ხსოვნა და მონიწება ტაძრის ახალ ვიტრაჟებზეც აისახება, სადაც ისინი ძალზე შთამბე-ჭდავად არიან გამოსახული ფრანცისკელთა სამოსში, მათ შორისაა ჩვენი დემეტრე თბილელი, მონამების ნიშნად პალმის ტოტით ხელში და სისხლიანი მახ-ვილით, რომელიც მას მკერდს უგმირავს. შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნებებს, მღვდლებსა და ბერ-მონ-აზვნებს შორის რწმენისთვის თავდადებული გმირების მოწმეობა ცოცხალია. როდესაც შეიტყობდნენ, რომ საქართველოდან ჩამოვადით, ბევრი იგონებდა მათი მონამებრივი სიკვდილის ფაქტს, რაც კიდევ უფრო მეტად მეგობრობულ გარემოს ქმნიდა ჩვენ შორის. მუმბაიში ყოფნისას შევძელით გვენახა ინდოეთის კათოლიკე ეკლესია და დავმტკბარიყავით მისი სი-ცოცხლისუნარიანობით, რაც გამოიხატება ენების მრავალფეროვნებაში, ტრადიციებში, რიტუალებში, მრავალგვარ საქმიანობაში (სკოლები, კოლეჯები, სო-ციალური სასწავლო ცენტრები...), ძველი და ასევე

ახალი არქიტექტურის ეკლესიებში, სამრევლოებში, რელიგიურ საკრებულოებში, ადგილობრივი წევრებით, და სემინარიებში, ღვთის ნებთ შექმნილ ჭეშმარიტ ძეგლებში.

ღრმა მადლიერების გამოხატულება იყო ჩვენთვის შეხვედრა მუმბაის ერთ-ერთ დამხმარე ეპისკოპოსთან, მონსინორ ბართოლ ბარეტოსთან, რომელიც ძალიან დაინტერესდა ჩვენი ვიზიტით: მან მოგვიწოდა, გაგვეგ-რძელებინა მონამეთა ცხოვრების გამავრცელებლი საქმიანობა და დაგვპირდა, რომ საჭიროების შემთხ-ვევაში დაგვეხმარებოდა, რაც შეიძლება მალე ეცნოთ წმიდანებად ის მონამენი, რომლებიც ოფიციალურად ჯერ კიდევ არ არიან აღიარებული. როგორც ყველა შეხვედრაზე, აქაც გულუხვად შემოგვთავაზეს ინდური ჩანა და გემრიელი ტკბილეული.

ინდოეთის მრავალ კათოლიკურ ტაძარს შო-რის, ჩვენ შევძელით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილის მონახულება: ეს არის მუმბაიში, ბანდრას რაიონში, მთის დედუფალისადმი მიძღვნილი ტაძარი, რომელიც ცნობილია ღვთისმშობლის შუამდგომლობით აღ-სრულებული სასწაულებით; აქ მოდიან არა მხოლოდ კათოლიკები და სხვა აღმსარებლობის ქრისტიანები, არამედ ინდუსტებიც და მუსლიმებიც. გაგვაოცა მოედ-ნის ცენტრში აგებულმა ჯიხურმა, რომლის ოთხივე მხარეს წარმოდგენილი იყო ინდოეთის უმთავრესი რე-ლიგიების სიმბოლოები, მათ შორის, დიდი ჯვარცმა.

მამრიძელება შემდეგ ნომერში



სემინარი შინაგამის ორგანიზებისა და მართვის საპირისებრები

2022 წლის 4 ნოემბერს თბილისში გაიმართა სემინარი შინაგამის მუნიციპალური პროგრამების ორგანიზებისა და მართვის საკითხებზე. სემინარში მონაწილეობდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის გამგეობების სოციალური სამსახურების თანამშრომლები. სემინარის მიზანი იყო მოსახლეობისათვის ამ სახის მომსახურების ორგანიზების ხელშეწყობა თბილისის ყველა მუნიციპალიტეტში.

თბილისში შინაგამის მომსახურება მოსახლეობას 1994 წლიდან მიენიდება. თბილისის გარდა, საქართველოს კარიტასის შინაგამის პროექტები ხორციელდება ახალციხეში, გორში, ქუთაისში, ოზურგეთსა და ბათუმში. ამ პროექტების ძირითადი მიზანია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა. საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის პროფესიონალი მულტიდისციპლინარული გუნდი სამედიცინო და სოციალურ მომსახურებას უწევს სოფლად და ქალაქად მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მარტოხელა ხანდაზმულებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და ყველა ასაკის ადამიანებს, რომლებსაც ავადმყოფობისა ან ტრაგმის შედეგად შეზღუდული აქვთ საკუთარი თავის მოვლის უნარი. გარდა ამისა, პროგრამის

ფარგლებში მოქმედებს ფასიანი მომსახურება.

2014 წლს, საქართველოს მოსახლეობის აღწერის დროს, აღრიცხულია 185000 ადამიანი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დამოკიდებულია გარეშე დახმარებაზე და საჭიროებს შინაგამის, მაგრამ ამ სახის მომსახურება არ არის შეტანილი საყოველთაო დაზღვევის პაკეტში. მხოლოდ რამდენიმე ასეულ ადამიანს მიუწვდება ხელი საქართველოს კარიტასის და სხვა მიმწოდებლების შინაგამის მომსახურებაზე, რომელსაც აფინანსებენ საზღვარგარეთის დონორები. საქართველოს კარიტასი ლობირებს შინაგამის ინტეგრაციის საკითხს ჯანდაცვის სისტემაში, რათა ყველა ადამიანმა მიღოს მისთვის საჭირო გრძელვადიანი სამედიცინო და სოციალური მომსახურება.

შინაგამის მომსახურების მიწოდებასთან ერთად, საქართველოს კარიტასი ხელს უწყობს ამ სფეროსთვის საჭირო კადრების მომზადებას, საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას და ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარებას შინაგამის მუნიციპალური პროგრამების დაგეგმარებისა და ადმინისტრირების საკითხებში.

ნინო ლამბაშიძე



ლე კორბუზიეს შედევრი ტაძარი ნოტრ-დამ-დიუ-ო



რონშანი - აღმოსავლეთ საფრანგეთში მდებარე კომუნა (სოფელი), დაახლოებით ორი ათასი მცხოვრებით, პარიზიდან 350 კილომეტრის დაშორებით მდებარე ფრანშ-კონტეს რეგიონის შამპანის კანტონში (ბეზანსონის არქიდიოცეზი), გერმანიის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს. საფრანგეთის ანალოგიური კომუნებიდან რონშანი, ერთი შეხედვით, არაფრითა გამორჩეული, თუმცა, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ეს პატარა სოფელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან უამრავ ტურისტს იზიდავს. და მაინც, რამ გაუთქვა სახელი ამ დასახლებას? ტაძარი ნოტრ-დამ-დიუ-ო (ფრ. Notre Dame du Haut, სიტყვასიტყვით „ღვთისმშობელი მაღლობებზე“) ან, უბრალოდ, რონშანის კაპელა, ლე კორბუზიეს არქიტექტურული შედევრი, მეოცე საუკუნის სატაძრო ნაგებობა, რომელმაც შეცვალა წარმოდგენა ტრადიციული ტაძრების არქიტექტურაზე. რონშანის ტაძარმა ლე კორბუზიეს, როგორც თანამედროვე სატაძრო არქიტექტურის ფუძემდებელს, კიდევ ერთხელ გაუთქვა სახელი მთელ მსოფლიოში. გამორჩეული და თვითმყოფადი ხუროთმოძღვრის, ლე კორბუზიეს არქიტექტურულმა

ქმნილებამ საფრანგეთის ერთი მცირე, არაფრით გამორჩეული დასახლება მსოფლიოს ცნობილ და მონახულებად ადგილად აქცია.

ლე კორბუზიე (Le Corbusier; ნამდვილი სახელი და გვარი შარლ ედუარ შანერ; 1887 წლის 6 ოქტომბერი, La Chaux-de-Fonds, შვეიცარია - 1965 წლის 27 აგვისტო), შვეიცარიული წარმოშობის ფრანგი არქიტექტორია, არქიტექტურული მოდერნიზმისა და ფუნქციონალიზმის ფუძემდებელი, საერთაშორისო სტილის არქიტექტურის წარმომადგენელი, მხატვარი და დიზაინერი, არქიტექტორი, რომელიც ცნობილია როგორც თანამედროვე ქალაქთმშენებლობის დამფუძნებელი.

აღმოსავლეთ საფრანგეთში, სოფელ რონშანის მაღლობებზე, ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან არსებობდა ქრისტიანული სამლოცველო. იგი დაარსდა დანგრეული წარმართული ტაძრის ადგილზე. მისი შენობა რამდენჯერმე გადაკეთდა. 1913, წელს მეხის დაცემის შედეგად, სამლოცველო დაიწვა, ხოლო 1944 წელს, საარტილერიო დაბომბვის დროს, ტაძრის სახურავი და კედლების ნაწილი განადგურდა. მოსახლეობამ 1950 წლისთვის შენობის აღდ-

საბანგებო ჩანართი



გენა მოახერხა, თუმცა შემდგომ ეკლესიამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ტაძრის განახლება, პირველ ეტაპზე ძველი სამლოცველო დაანგრიეს და ახალი ნაგებობისათვის ადგილი მოასუფთავეს. ამავე წელს ახალი ტაძრის ასაგებად უკვე საქვეყნოდ აღიარებული არქიტექტორი, ლე კორბუზიე მოიწვიეს. ტაძრის მშენებლობა 1950-1955 წლებში მიმდინარეობდა, 1956 წელს ტაძარი ეკურთხა.

ნოტრ-დამ-დიუ-ო უფრო ცნობილია როგორც რონშანის კაპელა, მხატვრული თვალსაზრისით მე-20 საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან საკულტო ნაგებობას უწოდებენ და მიეკუთვნება ახალი ექსპრესიონიზმის მოდერნისტულ მიმდინარეობას, რომელიც თავად ლე კორბუზიე შექმნა და დაამკვიდრა. სამლოცველოს აშენების ინიციატივა ეკუთვნოდა მდვდელ პიერ-ალენ კუტურიეს, რომელიც მანამდე მეგობრობდა თანამედროვე ხელოვნების ისეთ ტიტანებთან, როგორებიც არიან ანრი მატისი და მარკ შაგალი. ლე კორბუზიე არ იყო რელიგიური, თავდაპირველად სკეპტიკურად შეხვდა ტაძრის დაპროექტების წინადადებას, მაგრამ რონშანში მოგზაურობამ ის დაარწმუნა, გაეკეთებინა პროექტი იმ პირობით, თუ კათოლიკე ეკლესია მას შემოქმედებითი გამოხატვის

სრულ თავისუფლებას მისცემდა.

რონშანის სამლოცველო იდეალურად ერწყმის ადგილობრივ რთულ ლანდშაფტს. მოხრილი სახურავი შთაგონებული იყო ლე კორბუზიეს მიერ ლონგ აილენდის სანაპიროზე ნაპოვნი ნიუარის ფორმით. ნიუარა ლე კორბუზიეს ფანტაზიაში აისახა როგორც თავშესაფრისა და უსაფრთხოების იდეის ბუნებრივი განსახიერება. ლონგ აილენდის პლაზზე ლე კორბუზიემ რამდენიმე „სკულპტურა“ შექმნა, რომლებიც შემდგომ სამლოცველოს პროტოტიპად იქცა. ტაძრის გვერდით კედლებზე მდებარე კოშკები მსგავსია იმ ესკიზებისა, რომლებიც ლე კორბუზიემ 1911 წელს სტუდენტური მოგზაურობისას შექმნა ადრიანეს ვილაზე. ტაძრის სამხრეთ კედელი გაჭრილია არარეგულარულად დაშორებული ლიობებით, საიდანაც სინათლე შემოდის (ზოგიერთ ლიობს ფერადი მინა აქვს). ტაძრის ღია სივრცე ქვის საკურთხევლითა და ღვთისმშობლის ქანდაკებით იმეორებს ჩრდილოეთ ევროპის ადრეულ, რომანული ტაძრებისთვის დამახასიათებელ მინიმალიზმს. დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, როდესაც ტაძარს მომლოცველთა დიდი ჯგუფები სტუმრობს, ღვთისმსახურება აღევლინება ღია ცის ქვეშ, რისთვისაც ტაძ-

რის აღმოსავლეთ მხარის გარე ფასადთან აგებულია სპეციალური ღია საკურთხეველი.

არქიტექტორ ლე კორბუზიეს გენიალურობა იმ დეტალშიც იკვეთება, რომ მან ახლად აგებულ



ტაძარს ისტორიასთან სიმბოლური ერთიანობა და უწყვეტობა შეუნარჩუნა. ტაძრის კედელში ჩაშენებულია იმ ადგილზე ადრე მდებარე სამლოცველოს ნაშთები, ასე რომ, რონშანის ტაძარი

არ წყვეტს კავშირს ისტორიას-თან, იგი თავის თავში სიმბოლურად აერთიანებს ადრეულ ისტორიასა და თანამედროვეობას, წარსულისა და თანამედროვეობის ეს ერთიანობა ქრისტიანო-

ესთეტიკურ დატვირთვას იძენს. არქიტექტურული ძეგლით მიღებული ემოციური დატვირთვა არის საუკეთესო დამოწმება, ეს ემოცია ადამიანს ეხმარება, უკეთ აღიქვას წარსულისა და თანამედროვეობის ერთიანობა და უამის განგრძობითობა, ეკლესიის მარადიულობა და თუნდაც სულის უკვდავება. ამ ხერხით საეკლესიო არქიტექტურა მორნმუნეს ეხმარება, უკეთ შეიცნოს ქრისტიანობის მარადისობა და ლე კორპუზიეს რონშანის ტაძარი ამის ერთ-ერთი საუკეთესო დასტურია.

როგორც ყოველ სიახლეს, ლე კორპუზიეს რონშანის ტაძარსაც პირველ ეტაპზე ტრადიციული საკულტო არქიტექტურის თაყვანისმცემელთა მხრიდან აშკარა უკმაყოფილება მოჰყვა. ტაძრის არასტანდარტულმა ნაგებობამ თავდაპირველად პროტესტიც გამოიწვია ადგილობრივი მაცხოვრებლების მხრიდან, რომლებმაც უარი თქვეს ტაძრისთვის წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდებაზე, მაგრამ სულ მალე რონშანს მსოფლიოს მრავალი კუთხიდან მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი მოაწყდა. ლე კორპუზიეს ახალი ქმნილების სანახავად ჩამოსული მომლოცველები და ტურისტები რონშანის კომუნის შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ იქცნენ. და სოფელი, რომლის არსებობაც საფრანგეთშიც კი თითე-

ბზე ჩამოსათვლელმა ადამიანმა თუ იცოდა, ლე კორპუზიეს არქიტექტურული ქმნილების წყალობით, მთელმა მსოფლიომ გაიცნო.

ქართული წარმოშობის ცნობილმა რუსმა არქიტექტორმა, ე.ნ. ქალალდის არქიტექტურის ფუძემდებელმა, აკადემიკოსმა ილია ლეჟავამ (ცნობილი ქართველი არქიტექტორის, საქართველოს პარლამენტის შენობის ავტორის, გიორგი ლეჟავას ვაჟი), რომელმაც გასულ საუკუნეში უშუალოდ მოინახულა რონშანის ტაძარი, ლე კორპუზიეს შემოქმედების შესახებ მიძღვნილ მონოგრაფიაში ჩამოაყალიბა ამ არქიტექტურული ქმნილების ანალიზი. ილია ლეჟავა სამლოცველოს უჩვეულო ფორმის წყაროდ მეგალითურ დოლმენს მიიჩნევს. ამგვარად, იგი პარალელს ავლებს რონშანის ტაძრის თანამედროვე ნაგებობასა და ადამიანის მიერ შექმნილ ყველაზე ძველ არქიტექტურულ ფორმებს შორის. „**ადამიანის ნების უძველესი აქტი, მეოცე საუკუნის ყველაზე „ამბიციური არქიტექტორის“ მარადიული შემოქმედების შესაფერისი მოდელი**“, - ამგვარად ახასიათებს იგი თავის კვლევაში რონშანის სამლოცველოს სივრცულ თავისებურებებს, რაც მასზე, როგორც არქიტექტორზე, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს: „სამლოცველოს ინტერიერი სივრცეების ჰიმ-



ბის მარადიულობის სიმბოლოდ აღიქმება. წარსული ეპოქებისა და თანამედროვეობის, ძველისა და ახლის შერწყმის ეს ხუროთმოძღვრული ხერხი მნახველის თვალში უდიდეს აზრობრივ და

საბანმებო ჩანართი

ნია. შედარებით პატარა ოთახში სინათლე და ჩრდილი ასობით სივრცულ შეგრძნებას იწვევს. ყოველი ნაბიჯი გვერდზე ხსნის ახალ ფორმას. ეს ფორმები საოცარ მისტიკურ ეფექტს ქმნის. და მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ტრადიციული ტაძარი, თქვენ გინდათ აქ ილოცოთ... სივრცით მანიპულირების უნარი არქიტექტორის პროფესიის საფუძველია. ადამიანებს სიამოვნებთ მუსიკის მოსმენა, ნახატების თვალით აღქმა, რომანში ან ფილმში სიუჟეტის სირთულეების მიღევნება. მაგრამ რაც შეეხება არქიტექტურას? გამოდის, რომ იგი ჩვენ ძალზე ძლიერ სხეულებრივ გრძნობას გვიყალიბებს, რისი მეოხებითაც მიმდებარე სივრცის თანაგრძნობას ვახერხებთ. სამლოცველოს დაწვრილებითი აღწერა, რა თქმა უნდა, არ იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რას გრძნობს ადამიანი, როდესაც ის სტრუქტურას თვალითა და სხეულით

ეუფლება. მუსიკის ჩაწერა შესაძლებელია. შეიძლება ჩაწეროთ ბალეტის მოძრაობები. ჩაწერილია აგრეთვე გეგმები, სექციები, ფასადები, არქიტექტურული ნაგებობები, მაგრამ მაინც შეუძლებელია სივრცითი ემოციების ადეკვატურად გადმოცემა სხვა ადამიანისათვის, კინოებშიც კი".

რონშანის ტაძრის ხუროთმოძღვრებამ უდიდესი კვალი დატოვა თანამედროვე არქიტექტურაში. მისი აგების შემდგომ ლე კორბუზიეს საფრანგეთში, ფირმინის კომუნაში, კიდევ ერთი, სენ-პიერის (წმ. პეტრე) ტაძრის (Église Saint-Pierre de Firminy) დაპროექტება შესთავაზეს. ეს ლეგენდარული არქიტექტორის ბოლო პროექტი გახლავთ. სენ-პიერის ტაძრის მშენებლობა 1971 წელს, ლე კორბუზიეს გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდეგ დაიწყო, სხვადასხვა ადგილობრივი პოლიტიკური კონფლიქტების გამო მშენებლობა გაჩერებული იყო

1975 წლიდან 2003 წლამდე, სანამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ტაძრის ასაგებად ჩამოსხმული ბეტონის კედლები „არქიტექტურულ მემკვიდრეობად“ არ გამოაცხადა. შემდგომ, დაფინანსების წყალობით, სატაძრო ნაგებობა დაასრულა ლე კორბუზიეს ყოფილმა სტუდენტმა და უკვე აღიარებულმა ფრანგმა არქიტექტორმა უოზე ობრერიემ. სენ-პიერის ტაძარი ერთგვარად აგრძელებს რონშანის ტაძრის არქიტექტურულ სტილს. 2010 წელს სენ-პიერის ტაძარი მსოფლიო არქიტექტურულმა უურნალმა „Vanity Fair-მა“ ოცდამეერთე საუკუნეში აშენებულ საუკეთესო არქიტექტურულ ნაგებობათა რეიტინგში მეორე პოზიციაზე დააყენა. ამერიკელი დეკონსტრუქციონისტის, არქიტექტორ პიტერ ეიზენმანის აზრით კი, სენ-პიერის ტაძარი არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელიც 1980 წლის შემდგომ აიგო



სასადვენო რეცეპტები: ვაშლის ნამცხვარი

ადვენტი სიხარულით მოლოდინის დროა, რომელიც შეიძლება ასევე „გემრიელი“ გახადოთ.

ადვენტის პერიოდისთვის ვაშლის ნამცხვრის მრავალი რეცეპტი მოიპოვება. არ დაივიწყოთ თავად გამომცხვარი ვაშლი, რომლის ერთ-ერთ რეცეპტსაც გთავაზობთ.

- 4 ვაშლი
- 8 სუფრის კოვზი წითელი მოცვის კომპოტი
- 20 გრ კარაქი
- 3 სუფრის კოვზი შაქარი

ამოაჭერით შუაგული ვაშლებს და მოათავსეთ ისინი ფეცხლგამძლე საცხობ ფორმაში. თითოეული ვაშლი ამოავსეთ წითელი მოცვის კომპოტით და ზემოდან დაადეთ კარაქის ნაჭრები. გამოაცხვეთ 20 წუთის განმავლობაში 220 გრადუს ტემპერატურაზე. გამოცხობამდე 10 წუთით ადრე კიდევ ერთხელ დაუმატეთ კარაქის ნაჭრები და მოაყარეთ შაქარი. ღუმელიდან გამოღების შემდეგ კი ისევ მოაყარეთ დარჩენილი შაქარი.

კიდევ ერთი რეცეპტი, სახელწოდებით „ვაშლი სამოსში“

გათალეთ ვაშლები, ამოაჭერით შუაგული და ამოავსეთ ჯემით. გააბრტყელეთ ცოში და დაჭერით კვადრატებად. თითოეულ კვადრატზე მოათავსეთ ვაშლი, შემდეგ კვადრატის კუთხები ვაშლის თავზე მოაციეთ და შეაერთეთ. ზემოდან მოასხით ათქვეული კვერცხი და მოაყარეთ დაჭრილი ნუში. გამოაცხვეთ ნინასნარ გახურებულ ღუმელში, სანამ ოქროსფერი არ გახდება. მზა ვაშლს მოაყარეთ ვანილინი.

„შარლოტა“

თუ გსურთ მოამზადოთ რაიმე გემრიელი და განსაკუთრებულა, რომელიც დაამშვერებს თქვენს სუფრას ადვენტის პერიოდში, გირჩევთ „შარლოტას“, ისიც ხომ ვაშლისგან მზადდება... „შარლოტას“ რეცეპტის ნარმოშობის შესახებ არსებობს რამდენიმე ლეგენდა. ერთ-ერთი მათგანი მოგვითხრობს ახალგაზრდა კონდიტერის რომანტიკულ სიყვარულზე ღარიბი გოგნას, სახელად შარლოტას მიმართ. ახალგაზრდა ქალბატონისთვის რომ თავი მოეწონებინა, მზარეულმა მოიფიქრა ძალიან სწრაფად მოსამზადებელი ვაშლის ნამცხვრის რეცეპტი. სხვა ლეგენდის მიხედვით, ნამცხვარს სახელი ეწოდა მეფე ჯორჯ III-ის მეუღლის, შარლოტას პატივსაცემად. დედოფალი ცნობილი იყო, როგორც ვაშლის დიდად მოყვარული, ხოლო ჰაეროვანი, გამომცხვარი ცოში ვაშლის შიგთავსით მისი საყვარელი საკვები იყო.

საინტერესოა, რომ „შარლოტას“ კლასიკური რეცეპტის წყალობით, ხმელი პური უმარტივესი გზით გადაიქცევა დახვეწილ ნუგბარად.

კლასიკური „შარლოტა“

თეთრი პურის ან ბატონის 12 ნაჭერი

50 გრ ნაღების კარაქი

0,5 ლ რძე

200 გრ შაქარი

1 ჩაის კოვზი ვანილინი

მწიკვი მარილი

2 კვერცხი

გააცხელეთ ღუმელი 180 გრადუსამდე. საცხობ ფორმას წაუსვით კარაქი ან მარგარინი. რძე, კვერცხი, შაქარი, მარილი და ვანილი ათქვიფეთ სათქვეცით ან მიქსერით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. გათალეთ ორი ვაშლი, ამოაჭერით შუაგული, დაჭერით თხლად და მოათავსეთ ცალკე თასში. შემდეგ ბატონის ოთხი ნაჭერი ამოავლეთ მომზადებულ თხევად ნარევში, მოათავსეთ საცხობი ფორმის ძირზე ისე, რომ ნაჭრები ოდნავ გადაეფაროს ერთმანეთს. ზემოდან დაალაგეთ ვაშლის ნაჭრები. გააკეთეთ კიდევ ორი მსგავსი ფენა. ზემოდან დაასხით დარჩენილი მასა და გააჩერეთ თხუთმეტი წუთი, შემდეგ კი გამოაცხვეთ ერთი საათის განმავლობაში. როცა „შარლოტა“ გაცივდება, შეგიძლიათ ზემოდან მოაყაროთ შაქრის პუდრა. რეკომენდირებულია, კლასიკური „შარლოტა“ რამდენიმე საათით მოათავსოთ მაცივარში და ცივი მიიტანოთ სუფრაზე.

„სასწრაფო დახმარება“ ან „სტუმარი კარის ზღურბლზე“ - ასე უწოდებს ბევრი დიასახლისი „შარლოტას“. როდესაც ერთი საათი რჩება სტუმრების მოსვლამდე და გსურთ, გააოცოთ ისინა როგორც გემრიელი ნამცხვრებით, ასევე საკონდიტრო ოსტატობით, არაფერია ამ რეცეპტზე მეტად მომგებიანი.



ასე გრძელდება მოწმეობა ორმოცი მოწამისა

ბუტაფან (ბურუნდი)



„რომ არ გვეპატიებინა, გული მოგვიკვდებოდა“. მამა ზაქარია ბუკურუ მოგვითხრობს იმ გზის შესახებ, რომელიც მან გაიარა თავისი ორმოცი მოწაფის ქველელობიდან მამაკაცთა პირველი მონასტრის დაარსებამდე ბურუნდიში, სადაც დღეს ბაკვები იზრდებიან, შრომობენ და ცხოვრობენ მშვიდობიანად.

„ყოველივეს გასახსენებლად უნდა დავბრუნდეთ ნარსულში, მეხსიერებაში უნდა ალვიდებინოთ გარდასული დღეები“, - ამბობს მამა ზაქარია ბუკურუ, ბუტას მცირე სემინარიის ყოფილი რექტორი ბურუნდიში (Burundi - სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში), 1997 წლის 30 აპრილს მომხდარი ამბის შესახებ, როდესაც მის ორმოც მოწაფეს სასტიკად გაუსწორდნენ. „ვფიქრობ თავდასხმამდე გატარებულ წლებზე. უფალმა ჩვენ მოგვამზადა. ათი წელი გვამზადებდა. მან ბევრი ნიშანი მოგვცა. იგი ჩვენ ლოცვაში გვესაუბრებოდა. ის, რაც მოხდა, ალემატება ადამიანურ გაებას: წარმოუდგენლად გვეჩვენება, რომ ასეთი ფაქტი შეიძლება განიცადო სიხარულით“.

დას, წარმოუდგენლი ფაქტია. აი, ამ მოვლენათა ქრონოლოგია: დილის 5:30 იყო, როდესაც ორი ათას კაციანი ჰუტუს მეამბოხეთა ჯგუფი მივიდა სემინარიაში, სადაც ორ საერთო საცხოვრებელში ორას ორმოცდაათ სტუდენტს ეძინა. ერთში იყვნენ ყველაზე ახალგაზრდები, 13-დან 15 წლამდე, მეორეში - 24 წლამდე სემინარი-

ელები. ჯარისკაცები შევიდნენ საერთო საცხოვრებელში და უბრძანეს: „ჰუტუ ერთ მხარეს, ტუტსი (ჰუტუ და ტუტსი - აფრიკის დიდი ტებების რეგიონში მცხოვრები ხალხი) მეორე მხარეს“. მაგრამ ბიჭები არ ემორჩილებიან. დგანან ხელიხელჩაჭიდებულნი. ვიღაც ამბობს: „ჩვენ, ყველანი, ბურუნდიელები ვართ; ჩვენ, ყველანი, ღვთის შვილები ვართ“. ჯერ კალაშნიკოვიდას გაისროლეს, შემდეგ ხელყუმბარა აფეთქდა. ხოცვა-ჟლეტა. ერთ-ერთი გადარჩენილი გვიამბობდა, რომ გაიგონა, როგორ წარმოთქვა ზოგიერთმა მეგობარმა ხმამალა: „მამა! მიუტევე, რათა არა იციან, რასა იქმან“. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი ჰუტუსა და ტუტსებს შორის სამოქალაქო ომისა, რომელიც ქვეყანაში 1993-2005 წლებში მოხდა და რომელშიც სამას ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. დღეს სემინარიის ეკლესია გახდა Santa Maria della Pace-ს („მშვიდობის ღვთისმშობელი“) ტაძარი, სადაც ბუტას „ორმოცი მოწამე ძმა“ განისვენებს, ათასობით ბურუნდიელისთვის მომლოცველების ადგილი.

ახლასან მამა ზაქარია იმყოფებოდა ბერეგამოში, სადაც შეხვდა სანტ-ალესანდროს ლიცეუმის სტუდენტებს, რომლებიც მუშაობენ წიგნის თარგმანზე „ბუტას ორმოცი ყმანვილი მოწამე“, სადაც ის საუბრობს საკუთარ გამოცდილებაზე, თავისი მოწაფების მოწამებრივ აღსასრულამდე და მას შემდეგ. „თავიდან სულის



მოსათქმელადაც არ მეცალა. მიცვალებულები უნდა დაგვეერდალა, გვეზრუნა გადარჩენილებზე. აღგვედგინა დანგრეული შენობები: სასწავლო წელიწადი სრულდებოდა და არ მინდოდა, ვინმეს დაეკარგა ეს წელი, - განმარტავს მღვდელმასხური, - ძალ-ღონეს არ ვიშურებდი, რომ სემინარია ხელახლა ალორძინებულიყო, როგორც ფორმაციის სახლი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ასეთი შთამბეჭდავი მოწმეობა. ამ ბიჭებმა მთელ ბურუნდის აჩვენეს, რომ მათ სიძულვილმა ვერ სძლია".

მაგრამ დროთა განმავლობაში მამა ზაქარიას ისეთი რამ შეემთხვა, თავადაც რომ ვერ წარმოიდგენდა. „კვლავ ვიგრძენი მონაზვნური ცხოვრებისკენ მოწოდება, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ განვახორციელე. პირველად იმიტომ, რომ ჩემს ეპისკოპოსს არ სურდა საზღვარგარეთ წავსულიყავი მას შემდეგ, რაც 1979 წელს ქვეყნიდან განდევნებს მისიონერები. მეორედ კი იმიტომ, რომ მამაჩემის სიკვდილის მერე მომინია ჩემს ოჯახთან დარჩენა“. თავისი მონაფების მონამებრივი აღსასრულიდან სამი წლის შემდეგ მღვდელმსახური მიემგზავრება საფრანგეთში და მიემართება ბურგუნდიაში, სააბატოში Sainte-Marie-de-la-Pierre-qui-Vire, ბენედიქტელთა მონასტერში, სადაც იწყება ნოვიციატი. „თუმცა, ერთი წლის შემდეგ, ლოცვისას, ისევ ჩამესმა ხმა, რომელმაც მიმახვდრა, რომ აქ ჩემი ადგილი არაა, რომ უნდა დავბრუნდე ბურუნდიში, პირდაპირ ბუტაში და დავაარსო მონასტერი ჩემი ბიჭების მონამეობის ადგილს. ეს არ იყო ადვილად გადასაწყვეტი. წუთუ ეს შესაძლებელია? მარტო? მაგრამ საბოლოოდ დავნებდი. ღმერთი შინ დასაბრუნებლად მიხმობდა“. ასე რომ, 2004 წელს მამა ზაქარია, რომელიც ბენედიქტელი ბერი გახდა, ბუტას ტაძრიდან 300 მეტრში აარსებს მამაკაცთა პირველ ბერმონაზვნურ საკრებულოს ბურუნდიში.

„პირველად ავაშენეთ მონასტერი, მერე სასტუმრო სახლი, რათა მიგვედო ათასობით მომლოცველი, რომელიც ტაძარში მოდიოდნენ. სამი წლის შემდეგ გამოჩენენ პირველი ბურუნდიელები და საკრებულომ დაიწყო ზრდა. დღეს ბუტას Santa Maria della Pace-ს მონასტერში თოთხმეტი ბერისგან შემდგარი საკრებულოა: ყველა მათგანი ბურუნდიდან არის. ვფიქრობ, რომ ღმერთმა წარმოშვა ეს მოწოდებები, როგორც ორმოცი მონამის საქმის გაგრძელება: საჭირო იყო ადგილი, რათა მიგვედო ბურუნდიელები, რომელთაც მშვიდობა, სიყვარული და ღმერთთან ურთიერთობა სწყუროდათ“.

როგორც პირველი ათასწლეულის ბერებმა შეიტანეს წვლილი ევროპის განვითარებაში, ასევე მამა ზაქარიას მონასტერმა დაიწყო მსახურება რეგიონის განვითარებისათვის. „ჩვენი ქვეყანა ჩაძირულია ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისში. უმუშევრობის დონე ახალგაზრდებს შორის მეტად მაღალია; ვინც სწავლობს, ისიც კი ვერ პოულობს სამუშაოს. სწორედ ამიტომ ჩვენ დავაარსეთ ასოციაცია, სახელწოდებით Base Jeunesse, რომელიც მხარს უჭერს „ბუტაში მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებას, დგას გარემომცველი წრისა და ახალგაზრდობის სამსახურში“.

მონასტერმა იყიდა მიწა და ორგანიზებას უწევს სასწავლო კურსებს სოფლის მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. „ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდები ოცნებობენ, სკოლის დამთავრების შემდეგ გაიკეთონ ჰალსტუხი და სამსახური იპოვონ ოფისში. მაგრამ აქ ეს შეუძლებელია. ჩვენ ვეხმარებით მათ, რომ რეალურად შეხედონ ცხოვრებას. ამიტომ, კურსის დასასრულის, მათ ვაძლევთ ღორს და ექვს ქათამს, რათა თავიანთი მცირე ბიზნესი წამოიჩნეონ“.

2016 წელს სკოლამ ანაზღაურება მიიღო განეული სამუშაოსთვის. „ჩვენ ვხედავთ, რომ ეს სასწავლო კურსები ასევე ხელს უწყობს შესაძლებლობას, გაეცნონ სოლიდარობის, ძმობისა და მშვიდობის კულტურას. ვასწავლით ხელობას და, ამასთანავე, მათ ვუზიარებთ იმას, რაც ბუტას მონამეებისაგან ვისწავლეთ. ვერ ვიტყვით, რომ გვიყვარს ღმერთი, თუ ასევე არ გვიყვარს მოყვასი და თუ არ გვსურს წვლილი შევიტანოთ იმ ადგილის სოციალურ განვითარებაში, სადაც ვცხოვრობთ“.

ის, რაც მამა ზაქარიასთვის იყო მინდობილი, არის ევანგელიზაციის მისია. „იმ მომენტიდან, როცა მისიონერები განდევნეს, ჩვენ უნდა მივიტანოთ ღვთის სიტყვა ჩვენს ხალხამდე. შეგვიძლია კიდეც ამის გაკეთება, რადგან უკეთ ვიცნობთ ჩვენი ხალხის გულს: ევროპელმა მისიონერებმა არაჩვეულებრივი სამუშაო შეასრულეს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სავსებით ჩასწვდომოდნენ ჩვენს სულს. აფრიკული მგრძნობელობა, - ამბობს ბერი, - არ ჰგავს ევროპულ მგრძნობელობას. ჩვენ უფრო მეტად ვართ მიდრეკილნი, გამოვხატოთ ჩვენი ურთიერთობა ღმერთთან სხეულის მეშვეობით. ვიცეკვოთ და ვიგალობოთ, როგორც ეს გააკეთა დავითმა აღთქმის კიდობანთან. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთმა გამოიხმო ბერმონაზვნური მოწოდება, რომელიც დაიბადა ბურუნდის მიწაზე, რათა უკეთ გადაგვეცა ქრისტიანული ღირებულებები, რათა სახარებას შეეღწია ჩვენს კულტურაში და შეეცვალა იგი. ხოლო ყველაზე მთავარი ღირებულება - ეს არის მიტევება: რომ არ მიგვეტევებინა, გული მოგვიკვდებოდა“.

მამა ზაქარია ძალიან უბრალოდ აღწერს ბერმონაზვნური ცხოვრებას: „ესაა სკოლა, სადაც ადამიანი სწავლობს, უყვარდეს მოყვასი ისე, როგორც ძმა. საკრებულოში ჩვენ აღმოვაჩენთ სიყვარულის, ურთიერთდახმარების, მიტევების სიხარულს. ვგრძნობთ ოჯახური ცხოვრების სითბოს. ჩვენ ერთად ვეძიებთ ღმერთს, ერთად ვმუშაობთ, ვცხოვრობთ იმედით. ჩემთვის მონასტერი სამოთხის კუთხეა“. პასუხი კითხვაზე, თუ ვინ არის იესო მის ცხოვრებაში, ასევე უბრალოა: „ის არის მეგობარი. მეგობარი, რომელსაც ვუყვარვარ. და ვისოფისაც უნდა გავიღო სიცოცხლე. ამ ოცი წლის განმავლობაში დავინახე, რომ მასთან ჩემი ურთიერთობა გაღრმავდა. მან თავის იარაღად მაქცია იმ ტრაგიკულ ფაქტთა მეშვეობით, რომლის წინაშეც დამაყენა. მომიხმო და მასთან ერთად ჯვარზე ასასვლელად მიმიწვია. და მე გადავწყვიტე, მივყოლოდი მას“.



წმიდა საყდრის დესპანები საქართველოში


გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „საბა“ 8 (320)

2001-2011 წლებში სამხრეთ კავკასიაში წმინდა საყდრის დესპანი იყო არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, დიპლომატიურ არქნაზე დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი, რომელიც 90-იანი წლებიდან, ჯერ კიდევ არქიმანდრიტის ხარისხში, არაერთგზის სტუმრობდა საქართველოს და ყველა ადგილობრივ პრობლემაში საკმაოდ გარკვეული იყო. 1999 წელს კლავდიო გუჯეროტი აქტიურად იყო ჩართული საქართველოში პაპ იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტის მოსამზადებელ საორგანიზაციონ ჯგუფში. მისი უშუალო ორგანიზატორობით 2000-იანი წლების დასაწყისში წარმატებით განხორციელდა პაპ იოანე პავლე II-ის ოფიციალური ვიზიტები ერევანსა და ბაქოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაქოს ვიზიტი 2002 წელს, როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, პაპთან იმართებული შეხვედრის დროს, აზერბაიჯანის კეთილი ნების გამოსახატავად, წმინდა საყდარს ბაქოს ცენტრში საჩუქრად გადასცა ვრცელი მიწის ნაკვეთი, სადაც რამდენიმე წელიწადში აიგო და იყურთხა თანამედროვე არქიტექტურის გრანდიოზული კათოლიკური ტაძარი. არქიეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის დიპლომატიური სამსახურის დროს, 2009 წელს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და საქართველოში არსებული დიპლომატიური კორპუსის დუაინად განისაზღვრა წმინდა საყდრის ნუნციუსი.

კლავდიო გუჯეროტი, როგორც სასულიერო პირი, აქტიურად იყო ჩაბმული ეკლესიათა შორის ურთიერთობებში, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა სხვადასხვა კონფესიის მწყემსმთავრებთან, მონაწილეობდა ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვებში. 2011 წელს, თბილისში გამართული ერთობის ლოცვის შემდგომ, უურნალ „საბასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ნუნციუსმა აღნიშნა: „მე ხშირად მიწევს სხვადასხვა ქვეყანაში გამგზავრება და ამიტომ მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მივიღე მონაწილეობა თბილისში აღვლენილ ერთობისათვის ლოცვებში, ისე ყოველთვის ვმონაწილეობ ეკუ-

მენურ ლოცვებში. დამერწმუნეთ, ამ ლოცვებს, ისევე როგორც ქრისტიანთა ერთიანობისადმი მიმართულ ნებისმიერ აქტივობას, დიდი პერსპექტივა გააჩნია“. არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი აქტიურ სასულიერო მსახურებაშიც იყო ჩართული, სისტემატურად აღავლენდა საკვირაო წირვებს ინგლისურ ენაზე თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი გაემგზავრა იტალიაში და ომით დაზარალებული ქართველი მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების შეგროვების ორგანიზებით დაკავდა. უკვე აგვისტოს ბოლოს მან მიღიონ ევროს საფასურის დახმარება შეკრიბა მხოლოდ იტალიის კათოლიკე ეპისკოპოსების მხარდაჭრით. შემდეგ თვეებშიც იგი სისტემატურად სტუმრობდა შიდა ქართლის რეგიონს და ადგილზე ეცნობოდა თუ როგორ ხდებოდა „კარიტასის“ მიერ ჰუმანიტარული დახმარების განაწილება. მნიშვნელოვანია არქიეპისკოპოს კლავდიო გუჯერეტის როლი



ეკლესიათა შორის ურთიერთობების დათბობაში; მისი ნუნციუსობის დროს თბილისში, ნაძალადევის რაიონში, „საქართველოს კარიტასის“ მიერ მართლმადიდებელი ბენეფიციარებისათვის აიგო მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა. ასევე, დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქში კათოლიკურმა ეკლესიამ ღვთისმსახურებისათვის სატაძრო ნაგებობები დაუთმო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს. არქიეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, კავკასიაში მსახურებისას, სასულიერო და დიპლომატიურ საქმიანობასთან ერთად, ნაყოფიერად მონაწილეობდა სამეცნიერო სფეროშიც. მუდამ ესწრებოდა და მოხსენებებით გამოდიოდა რელიგიათმცოდნეობით სიმპოზიუმებში, თვითმხილველთ დღემდე ასლოვთ მის მიერ წაკითხული საჯარო მოხსენებები შოთა რუსთაველისა და

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე. მისი უშუალო მხარდაჭერით გამოიცა სამეცნიერო ლიტერატურა, უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტაურიებაზე გაიგზავნენ სტუდენტები. ნუნციუსი სისტემატურად ეხმარებოდა ქართულ შემოქმედებით კოლექტივებს იტალიაში კონცერტების ორგანიზებაში. არქიეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის ღვაწლთაგან აღსანიშნავია მისი დიდი ძალისმევა სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტის დაფუძნებაში. სწორედ ნუნციუსის დაუინებული თხოვნით, განათლების სამინისტრომ გასცა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ისტორიაში პირველი დასავლური ტიპის თეოლოგიური ინსტიტუტის გახსნის ლიცეუმია. ასევე აღსანიშნავია კლავდიო გუჯეროტის დამსახურება საქართველოში რელიგიური ორგანიზაციების შესახებ კანონის მიღებაშიც.



საქართველოში წმიდა საყდრის ყოფილი დესპანი, არქიეპისკოპოსი კლაუდიო გუჯეროტი პაპმა ფრანცისკემ აღმოსავლური ეკლესიების დიკასტერიის პრეფექტად დანიშნა.

ამ დრომდე იგი წმიდა საყდრის დესპანი იყო დიდ ბრიტანეთში. ახლა კი ბრუნდება დიკასტერიაში (საეკლესიო მმართველობის ორგანო, რომელიც სასამართლოს ფუნქციებს ახორციელებს), საიდანაც დაიწყო მისი დიპლომატიური კარიერა.

2001 წელს კლაუდიო გუჯეროტი პირველად დაინიშნა „პაპის ელჩიად“ საქართველოსა და სომხეთში. შემდეგ მის უფლებამოსილებებს აზერბაიჯანიც დაემატა - იმ დროს კავკასიის სამ ნუნციატურას ერთი და იგივე ნუნციუსი ჰყავდა.

Catholic.ge



„ეპიტული დიასპორა: წარსული და თანამედროვეობა II“

ა.წ. 11 ოქტომბერს, ივანე ჯავახიშვილის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ დიასპორათა სამეცნიერო კვლევის ცენტრის ორგანიზებით, გაიხსნა ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია „ქართული დიასპორა: წარსული და თანამედროვეობა II“. ღონისძიებას ესწრებოდნენ: თსუ რექტორის მოადგილე **ნინო გვერდაძე**, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი **თეა წულუკიანი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ნუნუ მიცკევიჩი**, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მოწვევული სტუმრები.

წლევანდელი კონფერენცია მიეძღვნა თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის, ბიზნესმენის, დოქტორ სიმონ ზაზაძის ხსოვნას, მის ღვაწლს, რომელიც გასწია მან დედა-სამშობლოს წინაშე. ზაზაძეთა ოჯახი სათავეში უდგას სტამბოლის ქართული კათოლიკური სავანის ფონდს, მეთვალყურეობენ ეკლესიას, არქივს, ბიბლიოთეკას. „ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ჩვენს თანაპარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა თბილისში, მრავალპროფილურია, თემატურად ძალიან საინტერესო მოხსენებებია წარმოდგენილი და ჩვენი მიზანი, გარდა სამეცნიერო კვლევისა, არის ინტეგრაცია ქართულ დიასპორებთან, მათი კულტურული და საგანმანათლებლო კავშირების გაძლიერება ისტორიულ სამშობლოსთან. ჩამოვიდნენ სტუმრები დიასპორული ორგანიზაციებიდან: თურქეთიდან, ირანიდან, ისტორიული ჰერეთიდან და, ვფიქრობ, ეს ჩვენი კონსოლიდაცია მნიშ-

ვნელოვანი იქნება ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის,“ - აღნიშნა თსუ პროფესორმა **როზეტა გუჯეჯიანმა**.

ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური იყო. მასში მონაწილეობდნენ მეცნიერები საქართველოსა და თურქეთის ოცზე მეტი უმაღლესი სასწავლებლიდან და სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან. ღონისძიებაზე ასევე განიხილეს ქართული კათოლიციზმის ისტორია, ისტორიულ ქართულ დიასპორათა (თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში) ყოფა, კულტურა, ენობრივი ვითარება. „კონფერენციაზე მიმდინარეობდა დისკუსია იმაზე, თუ როგორ უნდა იყვნენ ისტორიულ თუ უკვე თანამედროვე ეპოქაში უცხოეთში წასული ჩვენი ქვეყნის შვილები, დიასპორები მუდმივ და მყარ კავშირში საქართველოსთან, დედა-სამშობლოსთან. ეს გვაწუხებს ჩვენც, კულტურის სამინისტროს, ვინაიდან აქ არის უამრავი მიმართულება: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, ლიტერატურის, თეატრის, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო თუ სხვა მიმართულებები, სადაც დიასპორებთან ურთიერთობა ჩვენთვის სასიცოცხლო და მნიშვნელოვანია. ამიტომ კონფერენციის შედეგად ველოდებით ახალ იდეებს, რომელიც წარმოშობა დებატებში, დისკუსიებში და იმედი მაქვს, რომ ეს კონფერენცია საფუძველს ჩაუყრის ასევე ახალ თანამშრომლობით პროექტებსაც,“ - განაცხადა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **თეა წულუკიანმა**.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართული კონფერენციის ორგანიზაციონური თაობა თსუ-ში დაფუძნებული ქართულ დიასპორათა სამეცნიერო კვლევის ცენტრი.

კონფერენციის თანაორგანიზაციონური არიან: რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი. თსუ ქართულ დიასპორათა კვლევის ცენტრის შესწავლის არეალია საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა მცხოვრები მკვიდრი, ავტოქტონი ქართველები, ისტორიული დიასპორები და პირველი რესპუბლიკის შემდგომი ხანის ემიგრაციის ლოკალური წერტილები ევროპასა და აშშ-ში.



სამეცნიერო კონფერენცია ზუგდიდის უნივერსიტეტში

მე-17 საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკური მისიების ცენტრი სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარეობდა. სამეგრელოს მთავარს, ლევან II დადიანს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა იქ მოღვაწე თეატრინელთა ორდენის კათოლიკე მამებთან, ენდობოდა და აფასებდა მათ განათლებასა და სინმინდეს, ხშირად მიმართავდა რჩევისათვის. სამეგრელოში მე-17 საუკუნეში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: არქანჯელო ლამბერტი, კრისტოფორო და კასტელი და სხვა მრავალი კათოლიკე მამა, რომლებმაც საქართველოს ისტორიას მრავალი ფასდაუდებელი ისტორიული მასალა შემოუნახეს. სამწუხაოდ, სამეგრელოში კათოლიკე მამების მოღვაწეობის ამსახველი მატერიალური ძეგლები არ არის შემონახული, თუმცა ლამბერტისა და კასტელის ჩანაწერებმა და ჩანახატებმა გააცილებლეს იმ ეპოქის საქართველოს სინამდვილე. სწორედ ამიტომ, ზუგდიდის უნივერსიტეტის მესვეურებმა, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის სამოციქულო ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, გადაწყვიტეს, პატივი მიეგოთ საქართველოში სამნახევარი საუკუნის წინ მოღვაწე იტალიელი მამებისათვის.

21 სექტემბერს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველო-ევროპის ურთიერთობათა ისტორიიდან - ქართულ-იტალიური პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები“. კონფერენციის ფარგლებში უნივერსიტეტში მოეწყო დონ კრისტოფორო და კასტელის ჩანახატების გამოფენა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ზუგდიდის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი თეონა ხუფენია; ზუგდიდის მერი მამუკა ნონერია; კაზოლა დი ნაპოლის მერი კონსტანტინო პეჩერილი; იტალიური პროგრამების კოორდინატორი და მუსიკოსი, გაგა შოთაძე, კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო. „ჩვენი ცხოვრება არის ურთიერთობა, ყოველი ურთიერთობა უნდა გაიზარდოს და გაფართოვდეს. მისიონერი ვერ იქნები, თუ ურთიერთობის უნარი არ გაქვს, ყოველი მისიონერი ლეთიური და ადამიანური ურთიერთობის მაგალითი იყო, და თქვენც, ამ სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, გისურვებთ კარგ, ლამაზ ურთიერთობებს“, - აღნიშნავთვის მისალმებაში ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტო.



კონფერენციის პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წარმოადგინეს: პროფესორებმა თეონა ხუფენიამ და ლუიზა ხაჭაპურიძემ („ბიბლიურ სახელებთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ქართულში“), ზაალ ქორუამ („ზუგდიდი კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის პერიოდში“), მამა გაბრიელე ბრაგანტინმ („ფრანგების ინგოლის გამოუქვეყნებელი რელაცია სამყაროს ოთხი ნაწილის შესახებ“), დავით მერკვილაძემ („ტყვეთა სყიდვა“ საქართველოში და თეატრიულ მისიონერები“), ბესიკ არახამიამ („ერისტიანობის გავრცელების პრობლემები რომისა და საქართველოში“), ირინე ინანეიშვილმა და ქეთევან ლატარიამ („კათოლიკე მისიონერების საგანმანათლებლო მოღვაწეობა XVII-XIX საუკუნის გურია-სამეგრელოში“), ავთანდილ თორდიამ („მე-15 ს-ის იტალიური წყაროები სამეგრელოსა და დადიანის შესახებ“), ბელა მოსიამ („იტალიელ კათოლიკე მისიონერთა როლი ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში“), ეკატერინე ანთიამ („ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობები და ევროპელი პრინცი სამეგრელოში“), მამა აკაკი ჭელიძემ („ნათლაცვდნენ თუ არა მისიონერები ქართველებს ხელახლა“), ნუგზარ ბარდაველიძემ („ნმიდა საყდრის სადესპანო და საქართველო, დიპლომატიური ურთიერთობის სამი ათწლეული“).

კონფერენციის მეორე დღეს მონაწილეობი გაეცნენ ზუგდიდის, წალენჯიხისა და ხობის რაიონების ტერიტორიაზე არსებულ იმ ტაძრებსა და მონასტრებს, რომლებიც ასახულია მე-17 საუკუნეში მოღვაწე კათოლიკე მამების რელაციებში და იმ ადგილებს, რომლებიც, ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, უკავშირდება სამეგრელოს სამთავროში მისიონერთა საქმიანობას.



თემურ ბაბლუანი - „მზე მთვარე და პურის ყანა (მანუშავა მელოდიება)“



„სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უნესობას, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს და არ განიზრახავს ბოროტს, არ ხარობს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყოველივეს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის სასოება აქვს და ყოველივეს ითმენს. სიყვარული არასოდეს მთავრდება...“ (1 კორ. 13, 4-8).

დღეს თითქოს გაიცვითაო სიტყვა „სიყვარული“, თითქოს ყველამ ჩვენ-ჩვენი განმარტება მივეცით, და ხანდახან, ხაფანგში გამომწყვდეული ცხოველის მსგავსად, შორიდან ვაწვდით საზრდოს, რათა არამც და არამც ახლოს არ მოვიდეს. რატომ? ალბათ იმიტომ რომ, მზის სხივებით ტკბობასთან ერთად, მოგვიწევს, ქარბორბალასაც გავუძლოთ, ამის სურვილი კი ნაკლებად გვაქვს. თემურ ბაბლუანის ამ რომანის განსაკუთრებულობაც ზუსტად იმაშია, რასაც

ესპანელი ფილოსოფოსი, პოეტი და დრამატურგი მიგელ დე უნამუნო ამბობდა: „მიყვარს - მაშასადამე, ვარსებობ“.

რამდენიმე წლის წინ, როცა თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე ერთ პატარა ოთახს ვქირაობდი ორ მეგობართან ერთად, სულ ერთი პატარა ოთახი გვქონდა და ყოველ ღამე ჭადრაკის ფიგურებივით გვიწევდა განლაგება. მახსოვს, ზაფხული იყო, საღამოთი სახლში მისულს ერთი მეგობარი შინ დამხვდა, გავალე თუ არა კარები, მითხრა: დრო გაქვს? თავი დავუქნიე უსიტყვოდ, მაშინ დაჯექი და მომისმინეო; მან თავისი ადგილი დაიკავა ჭადრაკის დაფაზე, მე კი - ჩემი; დაიწყო! თითქმის ერთი საათი სულგანაბული ვუსმენდი, ვგრძნობდი, რომ სიცხის გამო ჩვენს პატარა ოთახში უანგბადის ნაკლებობა იგრძნობდა, მინდოდა ფანჯარასთან მისვლა, მაგრამ ადგილიდან ვერ ვდგებოდი! როცა დაამთავრა, მითხრა: მოგეწონა? მე კი ისევ ფიქრებში ვიყავი, ახლავე დავიწყო ეს წიგნი თუ ხვალ დილით მეთქი. დილით სამსახურში წავედი, თან წიგნი გავიყოლე, შუადღით კითხვა დავიწყე და სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი, თუმცა ის სხვა სამყარო ძალიან ჰგავდა ჩვენსას...“

ნანარმოებში ნარმოდებილია საქართველოში XX საუკუნის მეორე ნახევრში არსებული მძიმე რეალობა, საბჭოთა კავშირის დაუნდობელი ბრძოლა ადამიანის თავისუფლებისა და ლირსების წინააღმდეგ, სუსტების ჩაგვრა და მათთან ისე მოქცევა, როგორც უმნიშვნელო არსებებთან; დიახ, ერთი შეხედვით, ყოველგვარი სილამაზისაგან, ბედნიერებისაგან, მომავლის იმედისაგან დაცლილ სამყაროში არსებითი მაინც ის მშვენიერებაა, რომელიც მთავარი გმირისა და მისი შეყვარებულის სიყვარულს შემოაქვს და ზუსტად ის იქცევა ნანარმოების ძირითად ღერძად და ხერხემლად.

რომანის მთავარი გმირია ჯუდე ანდრონიკაშვილი, ერთი თბილისელი ბიჭი, ბიჭი, რომელიც ოცნებობდა ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებაზე, ბიჭი, რომელსაც სიგიურემდე უყვარდა მანუშაკა და მომავლის პეიზაჟებს მასთან ერთად ხატავდა. ოცნებები ხომ ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრები არიან, მათ გარეშე შეუძლებე-




ლია იმოგზაურო ცხოვრებისეულ ღაბირინთებში. წამი, დიახ, ერთი წამია საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება, უბრალოდ, სხვა, უფრო გაცვეთილ და უანგმორეულ რელსებზე გადავიყვანოთ, ანდა სხვა „დაგვეხმარება“ ამ საქმეში და მაშინ საით წავა ჩვენი ვაგონი, რთული მისახვედრი არაა... ასე მოხდა ჯუდეს ცხოვრებაში, მისი ცხოვრება იცვლება, ის უსამართლობის წინაშე ისეთივე უძლურია, როგორც პატარა ფრინველი არწივის კლანჭების პირისპირ. ჯუდეს თავგადასავალი, ერთი მხრივ, მძიმე და წარმოუდგენელია (ხანდახან ფანტასტიკური); კითხულობ, და როცა ფიქრობ, რომ აქ დასრულდა სირთულები და დროა, მზის სხივმა გამოანათოს, გადაშლი მეორე გვერდს და ახალი თავსატეხი გხვდება. თვალწინ ჩაგივლის გრძელი გზა ჯუდეს ბავშვობიდან შუახნის ასაკამდე და, მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, ადამიანის სისასტიკის, მხეცობის, გაუტანლობის, ღალატის, ავანტიურისა, ის მაინც ინარჩუნებს ადამიანობას. „ლმერთო ჩემო, ნეტავი რატომ გამოგვიგონე ეს საცოდავი ადამიანები, რამი გჭირდებით მეთქი?“

კითხვის დროს შეუძლებელია არ დაფიქრდე: როგორ, ლმერთო ჩემო, ნუთუ შესაძლებელია, ადამიანმა ამდენს გაუძლოს, ნუთუ ადამიანური ბუნება ამდენის ამტანია? ავტორი თავადვე ხსნის მთავარი გმირის სიძლიერის წყაროს: „რად გინდა ეგ მანუშაკა, რაში გჭირდებაო? - იმან მყითხა, ცეცხლისფერი თმა რომ ჰქონდა. სულ ერთი სიტყვა მეყო პასუხის გასაცემად: მიყვარს მეთქი“. მანუშაკას სიყვარული გადაარჩენს გმირს პირუტყვად, მხეცად ქცევისაგან. როგორც დასაწყისში ვთქვი, ჩვენ გავცვითეთ ეს სიტყვა, მაგრამ არ დაგვიკარგავს ის! ჩემი აზრით, ეს წიგნიც იმ ადამიანზეა, ვინც არ დაივინყა ნამდვილი სიყვარულის არაჩვეულებრივობა. ავტორმა რომანი მეუღლეს მიუძღვნა, და ზუსტად ეს მოვლენა ხდის ამ წიგნს ნამდვილ თავგადასავლად. შეუძლებელია, იმოგზაური ჯუდესთან

ერთად და რამე კარგი გაკვეთილი არ მიიღო, რათა კიდევ ერთხელ ახედო ცას და ღიმილით წარმოთქვა: და მაინც, რა მშვენიერია სიცოცხლე, და რა მშვენიერია მისი ავტორი!

წაიკითხე ეს არაჩვეულებრივი წაწარმოები, შეეცადე, არაფერი გამოგრჩეს, ხანდახან სიჩქარეში წვრილმანებს ვკარგავთ ხოლმე, ამიტომ ნელ-ნელა გაუდექი გზას ჯუდესთან ერთად, მოივლი სხვადასხვა ქვეყანას, ქალაქს, შეხვდები ადამიანებს, თავგადასავლების კორიანტელში მოგიწევს გავლა, მოკლედ, უამრავ რამეს წახავი, ბოლო თავებში კი გელის უცნაური ამბავი, რომლიც შენ თავად უნდა შეაფასო!

„სიყვარულს, ასე თუ ისე, სიცხადე შეაქვს იმ გაუგებრობაში, თუ რატომ ებლაუჭებიან სიცოცხლეს გამწარებით ეს საცოდავი ადამიანები“.





იმავი ჩვენ მარშამო არსებულის შესახებ

ერთხელ, ახლო აღმოსავლეთის ერთი ქალაქის შესასვლელთან, ოაზისის მახლობლად, იჯდა კაცი. მას მიუახლოვდა ახალგაზრდა და ჰქითხა: „არასდროს ვყოფილვარ აქ. როგორი ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში?“

მოხუცმა მას კითხვითვე უპასუხა: „და როგორი ადამიანები ცხოვრობდნენ იმ ქალაქში, საიდანაც შენ წამოხვედი?“

- „ისინი ეგოისტი და ბოროტი ადამიანები იყვნენ. სწორედ ამიტომაც სიხარულით წამოვედი იქიდან“.
- „აქ შენ ზუსტად ასეთებს შეხვდები“, - უპასუხა მას მოხუცმა.

ცოტა ხნის შემდეგ ამ ადგილს სხვა ადამიანი მიუახლოვდა და იგივე კითხვა დასვა: „ეს-ეს არის ჩამოვედი. მითხარი, მოხუცო, როგორი ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში?“

მოხუცმა მასაც იგივე პასუხი გასცა: „მითხარი, შვილო, როგორ იქცეოდნენ ადამიანები იმ ქალაქში, საიდანაც შენ ჩამოხვედი?“

- „ოჳ, ისინი კეთილი, სტუმართმოყვარე და კეთილშობილი ადამიანები იყვნენ. იქ ბევრი მეგობარი დავტოვე და გამიჭირდა მათთან განშორება“.
- „აქაც სწორედ მათ მსგავებს შეხვდები“, - უპასუხა მოხუცმა.

ვაჭარმა, რომელიც შორიახლო თავის აქლემებს არწყულებდა, ორივე დიალოგი მოისმინა. და როგორც კი მეორე კაცი წავიდა, მან საყვედურით მიმართა მოხუცს: „როგორ შეგიძლია ერთსა და იმავე კითხვაზე ორი სრულიად განსხვავებული პასუხი გასცე ორ ადამიანს?“

„შვილო ჩემო, - თქვა მოხუცმა, - ყველას თავისი სამყარო აქვს გულის სიღრმეში. ვინც წარსულში ვერაფერი კარგი იპოვნა იმ მხარეში, საიდანაც მოვიდა, ის აქაც ვერაფერს მოძებნის. ხოლო ვისაც სხვა ქალაქში მეგობრები ჰყავდა, ის აქაც მონახავს ერთგულ და თავდადებულ მეგობრებს. რადგან, ხომ ხედავ, ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები იმასვე გამოავლენენ, რასაც მათში დავინახავთ...“





სულხან-საბა ორბელიანის უცივერსიტეტის ახალი რექტორი ჰყავს

კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა მიერ საქართველოში დაარსებულ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს. ვაჟა ვარდიძის შემდეგ ამ თანამდებობაზე მღვდელმსახური მამა აკაკი ჭელიძე დაინიშნა. იგი თავისი უფლებამოსილების განხორციელებას 2022 წლის ნოემბრიდან შეუდგა. მანამდე მამა აკაკი ჭელიძე უნივერსიტეტში ვიცე რექტორის თანამდებობას იკავებდა. იგი აღნიშნავს, რომ რექტორის ცვლილებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ეპისკოპოსმა ჯუზებე პაზოტომ მიიღო.

ზურაბ პიპერა (1933-2022)

გარდაიცვალა ქართველი მეცნიერი, ბიბლეისტი, ფოლკლორისტი, ფილოლოგის დოქტორი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი ზურაბ კიკნაძე.

მის ნაშრომებს შორისაა:

- ძველი აღთქმის წუთისოფელი, ბიბლიური საზოგდოება, 2003, მე-2 გამ., „კავკასიური სახლი“, 2019;
- ქართლი გაქრისტიანების გზაზე: ადამიანები და სიწმინდეები, „კავკასიური სახლი“, 2009;
- ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, „ლომისი“, 2002;
- ხუთწიგნულის თარგმანება, ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი, 2004, მე-2 გამ., საბას უნ-ის გამ., 2009;
- ბიბლიური წინამდლოლობა, Carpe diem, 2018;
- ერი და ქრისტიანობა, კავკასიური სახლი, 2019;
- და სხვა...



განსვენება საუკუნო მიანიშვ მათ, უფალო!



დაიმი გალავანვილი
* 06. 01. 1939, უდე
† 06. 08. 2022, უდე




გრაივ ართინიანი
* 04. 05. 1928, ოზურგეთი
† 01. 09. 2022, ოზურგეთი



თეიშურას გარიავაძე
* 19. 02. 1964, გორი
† 10. 10. 2022, ბერძენი



ნაელი აულაკე
* 23. 01. 1942, უდე
† 23. 10. 2022, ბერძენი



ლეან ფალიავილი
* 18. 06. 1938, თბილისი
† 29. 10. 2022, თბილისი



თომა ჯორჯ მიმჩილი
* 03. 11. 1941, აშშ, ჯერსი
სიტი
† 05. 11. 2022, თბილისი



ვერა გაბაშვილი ლელა
* 06. 10. 1941, უდე
† 05. 11. 2022, უდე



მიხეილ ართინიანი
* 18. 08. 1934, ქუთაისი
† 12. 11. 2022, ქუთაისი



ლილი არაშვილი
* 26. 09. 1933, თბილისი
† 15. 11. 2022, თბილისი



ვახტანე ზაქროშვილი
* 20. 03. 1945, ვალე
† 15. 11. 2022, ვალე



ავთანა გარაშვილი
* 01. 08. 1939, ვალე
† 23. 11. 2022, ვალე



თამაზ გასიძეაშვილი
* 07. 11. 1979, ვალე
† 03. 11. 2022, ვალე